



140 / 3  
1951 / 3

118 / 3

საბავშვო  
საზოგადოებრივი

ს. ო. ნ. 118 ვ. კ. ო

6  
1951



# პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის  
უოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 6 ივნისი 1951

საბლიტგამი  
ფელიწადი

П И О Н Е Р И Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და ძეგლი საბურთაქოში  
(გაიხსნა 1951 წლის 27 მაისს)



# ბავშვებს-მშვიდობა!

8225

ჩინეთის სამხრეთით მდებარეობს ევრეთ წოდებული სამხრეთის ქვეყანა — ვიეტნამი, ამჟამად სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. 1945 წლიდან მრავალტანჯულმა ვიეტნამელმა ხალხმა იწყო თავისი სამშობლოს დამოუკიდებლად მართვა, თავისუფალი, მშვიდობიანი შრომა. ბავშვებიც უფროს თაობასთან ერთად შეჭაროდნენ ამ ბედნიერ ყოფას. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ბედნიერება. 1946 წელს ფრანგმა იმპერიალისტებმა ვიეტნამელ ხალხს თავს მოახვიეს ბარბაროსული ომი, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია გრძელდება. ფრანგი კოლონიზატორები სისხლში ახრჩობენ თავისუფლებისმოყვარულ ვიეტნამელ ხალხს. მაგრამ ვიეტნამელმა ხალხმა უკვე იგემა თავისუფლების სანუკვარი სიტკბოება და არ თმობს მას — გმირულად იცავს თავის მონაპოვარს. ძვირად უჯდებათ ფრანგ იმპერიალისტებს ეს უსამართლო ომი. ვიეტნამელი ხალხი გმირულად იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. უკვე მრავალი სოფლიდან და ქალაქიდან განდევნილი არიან ფრანგი კოლონიზატორები. ისინი, რაკი თავიანთი ძალის იმედი არა აქვთ, მიმართავენ დახმარებისათვის ამერიკელ იმპერიალისტებს, მაგრამ ვერაფერი გასტეხს ვიეტნამელი ხალხის ნება-სურვილს — კვლავ თავისუფალი და მშვიდობიანი იხილოს თავისი სამშობლო. ვიეტნამელ ხალხთანაა მთელი პროგრესული კაცობრიობა. მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები აღშფოთებულნი გამოთქამენ ფრანგი კოლონიზატორების მხეცობის გამო, პროტესტის ხმას იმაღლებენ და მოითხოვენ საფრანგეთის ჯარების გაყვანას ვიეტნამიდან. თვით ფრანგი ხალხი აღდგა ამ ომის წინააღმდეგ.

მთელი მსოფლიო განაცვიფრა ფრანგი ხალხის სახელოვანი ქალიშვილის რაიმონდა დიენის მამაცობამ: იგი რკინიგზის ლიან-

დაგზე გაწვა და შეაჩერა ეშელონი, რომელიც დატვირთული იყო ტანკებით. ეს საშინელი საომარი მანქანები საფრანგეთის მთავრობის მიერ ვიეტნამში იგზავნებოდა.

ვინ არის რაიმონდა დიენი? იგი მამინ 20 წლის გოგონა იყო, ხელმძღვანელობდა პიონერთა ორგანიზაციას — ეგრეთ წოდებულ მამაცთა კავშირს ქალაქ ტურში. ფრანგი ხელისუფალნი სასტიკად გაუსწორდნენ სახელოვან ქალიშვილს მისი კეთილშობილური მოქმედებისათვის — ციხეში ჩამაწყვდიეს იგი. მაგრამ მშვიდობისმოყვარე ფრანგი ხალხი როდი შეუშინდა ამას. რაიმონდა დიენის მაგალითმა აღაფრთოვანა მილიონობით სხვა პატიოსანი ადამიანები.


... დღეს განთავისუფლებულია რაიმონდა დიენი. საფრანგეთის მამაცთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ივ. მორელმა ამას წინაშე საბჭოთა კავშირის პიონერებს საჩუქრად გამოუგზავნა რაიმონდა დიენის პიონერული ჰალსტუხი, როგორც სიმბოლო მშვიდობისათვის ბრძოლისა, როგორც სიმბოლო ფრანგი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობისა.

„გადმოგცემთ რა ამ ჰალსტუხს, — სწერს მორელი, — ჩვენ რაც ვდებთ: ახალგაზრდობა ვი მოკესა და ფაბიანის (ფრანგი პატრიოტები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჰიტლერულ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლას) ქვეყნისა არასოდეს არ იომებს ზოია კოსმოდემიანსკაიასა და ოლეგ კოშევიის ქვეყნის ახალგაზრდობის წინააღმდეგ“.

წელს რაიმონდა დიენი ეწვია საბჭოთა კავშირს, მონაწილეობა მიიღო საპირველმასისო დემონსტრაციაში მოსკოვში, წითელ მოედანზე, ესაუბრა საბჭოთა ბავშვებს. რაიმონდა დიენი იყო თბილისშიც, დაესწრო პიონერთა სასახლის 10 წლისთავის ზეიმს.

რა ამოძრავებდა რაიმონდა დიენს, როცა საფრთხეში აგდებდა თავის სიცოცხლეს? —





ის, რაც მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანებს ამოქმედებს. ეს არის მშვიდობისათვის ბრძოლა, ომის წინააღმდეგ ბრძოლა, ომისა, რომელიც მიმართულია ერთი მუქა კაპიტალისტების ჯიბის გასასქელებლად და მილიონობით მშრომელთა სიცოცხლის მოსასპობად.

რამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე უმსხვერპლიათ ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს კორეაში, ფრანგ კოლონიზატორებს ვიეტნამში, ფაშისტებს საბერძნეთსა და იტალიაში, ესპანეთსა და იუგოსლავიაში! რამდენი ათასი ბავშვი ემსხვერპლა ომს და რამდენი მილიონი ბავშვის სიცოცხლეს ემუქრებთან ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთის მთავრობები!

მაგრამ ხალხს არ სურს ომი. მთელი მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობა რკინის კედლად დგას, რომ ომს გზა გადაუღობოს, ბავშვებს სიცოცხლე შეუნარჩუნოს. სწორედ ვიეტნამელ უმწეო ბავშვთა სიცოცხლისათვის სწირავდა სიცოცხლეს გმირი ფრანგი ქალიშვილი რაიმონდა დიენი.

მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანების ყურადღება მშვიდობისათვის, ომის გამხადებელთა წინააღმდეგ მათ ბრძოლაში, მოპყრობილია საბჭოთა კავშირისაკენ. საბჭოთა კავშირი, დიდი სტალინი,—აი, დიადი დროშა მშვიდობისათვის ბრძოლისა მთელ მსოფლიოში.

მშვიდობისათვის მოწინავე კაცობრიობის ბრძოლის თვალსაჩინო გამოხატულებაა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, რომელიც ყოველწლიურად პირველ ივნისს ტარდება.

1949 წელს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება ყოველწლიურად პირველ ივნისს ახალგაზრდობის პროფკავშირულ და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთად ჩაატაროს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

ამ დღეს ყველა პატიოსანი ადამიანი ბავშვთა სიცოცხლისა და მომავალი ბედნიერებისათვის ხმას იმაღლებს ომის გამხადებელთა წინააღმდეგ. ისინი კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებისაგან მოითხოვენ სამხედრო ხარჯების შემცირებას და მის ნაცვლად სკოლებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებისათვის თანხის გადიდებას, მოითხოვენ ბავშვთა შრომის აკრძალვას, საყოველთაო-სავალდებულო უფასო სწავლების შემოღებას, ომის პროპაგანდისა და რასობრივი სიძულვილის შეწყვეტას.

ყველა ქვეყნის მშრომელებს აღაფრთოვანებს მაგალითი საბჭოთა კავშირისა, სადაც ნორჩ თაობას შექმნილი აქვს პირობები სწავლისა და ზრდისათვის, სადაც ბავშვებს აქვთ სკოლები, სასახლეები, კურორტები, პიონერული ბანაკები, საბავშვო რკინიგზები, ტექნიკური სადგურები, სადაც ასე დიდებულად იფურჩქნება ბავშვთა ნიჭი და შემოქმედება.

„ძვირფასო საბჭოთა ბავშვებო, — წერს ჩინელი უ სუ-მო ქალაქ ანიანის დაწყებითი სკოლიდან, — ჩვენ თქვენი უმცროსი ძმები ვართ, ჩვენ ვსწავლობთ თქვენგან, ჩვენ გვინდა ვიართო წინ თქვენთან ხელობილჩადებულებმა. ჩვენ ყველანი ვოცნებობთ იმაზე, რომ ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში იყოს ისეთივე ბედნიერი, როგორიც თქვენთან, საბჭოთა კავშირში“.

ასეთ ბედნიერებას მოწყურებული არიან საფრანგეთისა და იტალიის, ესპანეთისა და ამერიკის ბავშვები, მაგრამ ამ ქვეყნების კაპიტალისტებს როდი სცალიათ ბავშვებისათვის. ისინი ახალ ომს აჩაღებენ და ბავშვების სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ.

მაგრამ რაგინდ ცდილობდნენ კაპიტალისტური ქვეყნები მსოფლიოს თავის მოახვიონ ახალი სისხლისმღვრელი ომი, მათი წადილი შაინც არ ასრულოდებოდა, რადგან მშვიდობისათვის ბრძოლას მიტაურობს საბჭოთა კავშირი, დიდი სტალინი.





ოთარ თორაღი  
მხატვარი გლემ ღიკი

# ყვეთქელ მღვთაქქ

## მთხრობა

ღილის ნიავის ქვეყანას\* ესალმება ამომავალი მზე. ნელი ფრთონვეთ ეჯახებთან ზღვის ტალღები კლდოვან ნაპირს. ამ ნაპირიდან შორს, ზღვაში მეჩეჩად ამოზიდულა კუნძული. გგონია, საკმარისია ერთი ღრმად ამოისუნთქოს ზღვამ, რომ მთლიანად გადალევოს იგი თავისი ქაფიანი ტალღებით.

კუნძულზე თბლად მოჩანს ისლისსახურავიანი ბამბუკის ქოხი. მახლობლად ლაღად გაუშლია ტოტები ჯუჯა ფიჭვს. ქოხიდან მომავალი ბილიკი ჩაკარგულა უზარმაზარ ლოდებს შორის. თუ გაჰყვებით მას, მიგიყვანთ სანაპირო ქვეშინ ზოლოთან; ეს ერთადერთი სწორი ადგილია ამ მწირსა და ხრიოკ კუნძულზე.

ნაპირზე ამოთრეული ნავის მახლობლად მოხუცი მეთევზე ბადეებს აწყობს. ქარდაკრული სახე ნაოჭებითა აქვს დაფარული. თხელი, ჭადრა წერი რაღაც თავისებურ სიდარბაისლეს ანიჭებს მის დაწვმაოალ, ფართო სახეს. იგი გულდასმით კემსავს ალაგ-ალაგ გახეულ ბადეს.

— მათ, ნუ ცელოჩობ, თორემ ზღვაში არ გაგიყვან! — უთხრა მოხუცმა ცელოქ შვილიშვილს, რომელიც, პატარა ლეკთან გართული, რამდენჯერმე გაიხვიდა გაშლილ ბადეში. ასეთი მუქარა ამომშინებს მათს, თერთ-მეტ-თორმეტი წლის ცოცხალთვალემა ბიჭს. მან ლეკვს ფეხი გაუჩნია, ლეკვი განზე გახტა და გაკვირვებულმა შეიყვითა მათს.

— შინ თუ აგყვით, ბაბუა ზღვაზე აღარ წამიყვანს, — ვიოომდაც აუხსნა მათ თავისი საჩიციელის მიზეზი პატარა ლეკს.

მოხუცი მეთევზე ღიმილით შეჰყურებს

შვილიშვილს და აგონდება ერთადერთი შვილი, იაპონელების მიერ მხეცურად ნაწამები კომუნისტებთან კავშირის გამო... იგონებს შვილს მოხუცი ჩენ-პუ და სიამაყის ცრემლებით თვალეები უბრწყინდება. მეტე სწრაფად იმშრალეებს თვალეებს, არ უნდა შვილიშვილმა დაინახოს ასე.

— ბაბუა! მე ხომ ხელს აღარ გიშლი?

— აი, ახლა ჭკვიანი ბიჭი ხარ, მათ. ასე უნდა დამიჯერო ყოველთვის და მუღამ ერთად ვითევზავებთ, — უპასუხა ჩენ-პუმ და თაზე ხელი გადაუსია მათს.

მზე საკმაოდ ამოიწვერა, დრო იყო სათევზაოდ გასულიყვენენ. მოხუცმა მეთევზემ ბადე ნაღში ჩადო და მათს დახმარებით საკმაოდ მძიმი ნავი ტალღეში შეაცურა.

პატარა ლეკვი აწყდებოდა ნაპირს. ტალღებმა მთლად დაასველეს იგი. გაუწუწული, კულამოძოიბული, წყავწყავით შეჰყურებდა განშორებულ ნავს.

ნელი, მოლივილივე ტალღები რიკმულად ატოკებოა ნავს. ჰორიზონტამდე გაშოილიყო უსასრულო ზღვა. ვინ იცის, მშობლიური კორეის რამდენ უბედურ დღეს მოსწრებია იგი. მრათომმა ტაიფუნმა გადაიჭროლა მის თავზე, მაგრამ ასეთი მეხი არასოდეს დასტეხია უძიელეს ხალხს... თმის ხანძარი ლოკაის კორეის ნაპირებს. (იციხლი უკიდია მშობლობიან ჩოხებს. მაგრამ გერავინ გატეხს იმ ხალხის ნებას, რომილმაც თაის-უოლობა იგემა... ფიქრებმა წაიღო მოხუცი მეთევი.

— ბაბუა, აფრა აუშვი, დაიღლები წიხბის მოსმით.

მათს ხმამ იამოათხიზლა ჩენ-პუ.

— არა, მათ! მაშინ ხომ ხელად შეგენი-

\* ღილის ნიავის ქვეყანას ეძახიან კორეას.

ნავენ, — უპასუხა შვილიშვილს და ნაპირი-  
საკენ გაახედა. შორს ყრუ გუგუნით მიფრინ-  
ავდნენ ძერასავით ფრთებგაწურული მტრის  
თვითმფრინავები. ისინი მიფრინავდნენ  
მშვიდობიანი სოფლებისაკენ, რათა იქ დაე-  
ცალათ სიკვდილის მთესველი თავიანთი შა-  
ვი ტვირთი.

მაომ ანთებული თვლები გააყოლა მათ,  
სანამ შოუმჩნეველ წერტილებად არ გადა-  
იქცნენ. მან ერთხელ უკვე გამოცადა და-  
ბომბის საშინელება იქ, მშობლიურ სო-  
ფელში. მოაგონდა მძიმედ დაჭრილი ღელა  
და გული მწარედ შეეკუმშა.

— მაო, საჭესთან დაჯექი, იქნებ მდინა-  
რებიდან გამოვიდეთ. — მიმართა ჩენ-პუმ  
შვილიშვილს, რომ ცოტათი მაინც გადაეყა-  
რა მისი სახიდან ჰმუნჯარების ღრუბელი.

ნავი მართლაც ზღვის მდინარეებში მო-  
ქცეულიყო. რამდენს არ ეცადა მოხუცი მე-  
თევზე საკმაოდ ძლიერი მდინარებიდან ნა-  
ვის გამოყვანას, მაგრამ ამაოდ. აი, თანდა-  
თან იწყო მიფარება ყველაზე უფრო მა-  
ღალმა მთამ, ჰორიზონტის კიდე თანდათან  
შეჰყვა მის კალთებს და კონუსისებურმა  
მთის წვერმაც იწყო დაღარვა, როცა ნავი  
მდინარებიდან გამოვიდა. ბაბუა და შვილი-  
შვილი საშინლად დაღლილიყვნენ. ეკ, სად-  
ღაა ახალგაზრდობა, თორემ ეს არ მოუვი-  
ლოდა ჩენ-პუს.

საკუთარი თავისთვის ვერ ეპატიებინა მო-  
ხორის მარცხი. ნავი მოაბრუნა და ზღვიდან  
ამოიჩრდილი მთის წვერის მიმართულებით გა-  
ცურის.

მღუმარედ უსვამდა ჩენ-პუ ნიჩბებს და  
ხანდახან ცას ათვალევრებდა.

ზოგჯერ ამერიკული თვითმფრინავები უმ-  
წყო ნავებზეც ნადირობდნენ.



— ბაბუა, ბაბუა... შეხედე, შეხედე, რამდენა...

კიჩოზე მჯდარი მაო უეცრად შეკრთა  
საჭე ხელიდან გაუშვა.

— ბაბუა, ბაბუა... — სული ძლივს  
თქვა, — შეხედე, შეხედე, რამდენა...

— რა, მაო? განა თევზებია...

— არა, არა, გემები! — მიუთითა მაომ  
ნაპირის საწინააღმდეგო მიმართულებით.

მოხუცმა გაიხედა. რძისფერ ნისლში ნათ-  
ლად იხატებოდა შორეული სილუეტები.  
ხილი მოიჩრდილა.

— ერთი, ორი, სამი... ცხრამეტი. — დაი-  
თვალა ჩენ-პუმ, — ცხრამეტი ნაომოსანი.  
ყველაფერს მიხვდა. „რა მოულოდნელია“ —  
გაიფიქრა და მოაგონდა სანაპირო დაცვის  
კაპიტანთან საუბარი: ამერიკელები რაღაც  
ძალებს უყრიან თავს, მგონი, დესანტი მზად-  
დებო.

ნიჩბები მოიმარჯვა.

— აბა, მაო! საჭესთან სწრაფად!

— ბაბუა, ეს ხომ ჩვენი გემებია.

— არა, მაო! ეს ისინი არიან, ამერიკე-  
ლები.

მაო დაფიქრდა.

— მაგრამ, ბაბუა, სანაპირო დაცვა და  
მეთვალყურეები ხომ შენიშნავენ!

— ვერა, მაო, ვერა! დილით ამ დროს ნის-  
ლი მოდის დიდი ოკეანიდან და, ეგეც რომ  
არ იყოს, ძალიან შორს არიან...

მაომ წარმოიდგინა, თუ როგორ მოცუ-  
რაქს უზარმაზარი, ფრთებგაშლილი ნისლი  
და მის უკან, სახადადობული ჩვემეხებით,  
ამერიკული გემები... ტანში გააჩრქოლა. სა-  
ჭეს მიუჯდა და სწრაფად მომართა.

მოხუცი ჩენ-პუ უკვე მოიქანცა, მთლად  
ოფლში გაიჭურა. წამდაუწომ ნიჩბების მო-  
სმით სული ეკვროდა. მაომ შეამჩნია ბა-  
ბუას დაღლა და საჭეს თავი მიანება.

— ბაბუა! ერთად მოვესვათ, შენ ძალიან  
დაიღალე.

ერთად შეუდგნენ ნიჩბების მოსმას.  
ზღვის მდინარეა თუმცა შორს იყო, მაგრამ  
მაინც იგრძნობოდა მისი გავლენა. ნავი ნე-  
ლა მიიწვედა ნაპირისაკენ, უკან კი მოახ-  
ლოებულ ნისლს მოჰყვებოდნენ მუქი სი-  
ლუეტები.

ჩენ-პუ ყურადღებით ადევნებდა თვალს  
მათ მოძრაობას და მიხვდა, სანამ უფრო  
სჩიო ნისლში არ გაეხვეოდა დესანტი, მა-  
ნამდე არ შეეცდებოდა იგი ნაპირზე გა-  
დასხდომას.

„მაშ, შეიძლება დასწრება, მხოლოდ ჩქა-  
რა!“ — გაუელვა ფიქრმა.

— მაო! საჭესთან დაჯექი! მე თვითონ  
მოვესვამ ნიჩბებს!

ბავშვი უსიტყვოდ დაემორჩილა ბაბუას. მოხუცის ხმაში რაღაც სიმკაცრე შეპარულიყო, ეს მამაც იგრძნო.

ქარი საკმაოდ გაძლიერდა, იგი თანდათან ძორეკავდა ნისლს ზღვის სივრციდან. დაყოვნება არ შეიძლებოდა. მოხუცი მეთევზე ფეხზე წამოდგა. ტალღებზე მოქანავე ნავის ფსკერზე წოხასწორობას ძლივს იკავებდა. ჩალის ქუდი მოიხადა და ერთ ხელში დაიკავა. მათსაც მოხადა ქუდი და წელში გასწორდა.

მაო ვერ მიმხვდარიყო, თუ რას აპირებდა ბაბუა, მაგრამ როდესაც ჩენ-პუმ ხელები გაშალა და ჩალის ქუდებით საზღვაო სიგნალის მიცემა დაიწყო, ყველაფერს მიხვდა.

— დესანტი, დესანტი! ... — ამას გადასცემდა სიგნალით ბაბუა. მამომ შიშით მიიხედდა უკან: უკვე შეენიშნათ, გამალებული მისწრაფოდა მათკენ მტრის მომცრო ხალხისანი. იგი ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ მაო არჩევდა, თუ რა გაშმაგებული სისწრაფით მოცურავდა იგი, თითქმის მთლიანად ამოძქვრალიყო წყლიდან, თითქოს გაფრენას აპირებდა.

ნაპირი კი დუმდა. ამაო იყო ჩენ-პუს ყოველივე ცდა, რომ ნაპირის ყურადღება მიეპყრო, თორემ აქამდე უშუხუნათი გასცემდნენ პასუხს.

— ბაბუა, ჩვენკენ ნაღმოსანი მოდის!

— უფრო კარგია, მაო! უფრო სწრაფად შეგვაძახებენ ნაპირიდან. ჩაწეკი ნავში!... უკანასკნელი სიტყვები ტყვიამფრქვევის ჯერმა გააწყვეტინა მოხუცს. ტყვიები წივილით გადაპქროდნენ მათ თავზე და საღდაც შორს დგაფუნით იჭრებოდნენ ქათიან ტალღებში.

უეტრად მოხუცი შეტორტმანდა, ნელა ჩაიკეცა და ნავიდან სანახევროდ გადაეკიდა. მამომ ღიდი წვალეებით გადმოაბრუნა და გულაღმა დააწვინა ნავის ფსკერზე. მკერდიდან გადმოსულ სისხლს წითლად შეეღება მოხუცის მკერდზე ჩაბღუჯული ჩალის ქუდები.

— ბაბუა, ბაბუა! — ცრემლმორეული ჩასახოდა მაო. ჩენ-პუმ თვალები გაახილა, სიყვარულით შეათვალიერა თავზე დამდგარი შვილიშვილი და გასისხლიანებული ჩალის ქუდები გაუწორდა.

— მაო, ნუ სტირი. მე კარგად ვარ.. ნუ გეშინია... აჰა, აიღე! სიგნალი გადაეცი! — წარმოსთქვა ჩენ-პუმ და თავი უღონოდ გადაკიდა.



მამომ გასისხლიანებული ქუდებით ხელში სიგნალის მიცემა დაიწყო.

მაომ ერთხანს უყურა თვალებდახუჭულ მოხუცს. უნებური ცრემლები დაპაღუბით ჩამოსდიოდა და მოხუცის გასისხლიანებულ მკერდს ეცემოდა. ფრთხილად დაახურა ბაბუას ზემოდან ბადე და წამოდგა. არა, მაო გადასცემს სიგნალს, ტყუილად კი არ ასწავლა სანაპირო დაცვის კაპიტანმა საზღვაო ნიშნების ხმარება!

უკან მოიხედა: ნაღმოსანს სვლა შეენელებინა და უკვე ბრუნს აკეთებდა, რათა ზღვაში მიმალულიყო.

— ჯერ კიდევ ადრეა! — ბრაზით წარმოთქვა მაომ და გასისხლიანებული ქუდებით ხელში სიგნალის მიცემა დაიწყო.

ნაპირიდან უკვე შეენიშნათ ნაღმოსანი. რამდენიმე ადგილას ავარდა საგანგაშო უშუხუნა, მაგრამ სანაპირო არტილერია დუმდა. მაო მიხვდა: ნაღმოსანს უნდოდა მიეზიდა ნაპირის ყურადღება, რომ ჰორიზონტს იქით ნისლში გახვეული დესანტი ნაპირისათვის შეუმჩნეველი გაეხადა.

მაომ სიგნალის გადაცემა განაგრძო.

ნაღმოსანი კი კვლავ მიუბრუნდა. ტყვიამფრქვევის ჯერმა სულ ახლოს გაუწვივა მაოს. ტყვია ნავის გვერდს მოხვდა და ნახვრეტში წყალმა იწყო დენა.

მაო კი იდგა ნავის ფსკერზე სისხლიანი ქუდებით ხელში და სიგნალს იძლეოდა. მობრუნებული ნაღმოსანი საკმაოდ შორს იყო, მაგრამ ტყვიის ცეცხლში მაინც ხვევდა უმწეო ნავს.

ნაპირი უეტრად გამოცოცხლდა: მძიმედ დაიგრიალეს სანაპირო ქვემეხებმა. ნაღმოსანის მახლობლად მადლა აიჭრნენ წყლის შადრევნები.

# სიმღერა პიონერის

მაო მძიმედ ჩაიკეცა, მკერდთან ხელი მი-  
იღო და ერთხელ კიდევ წამოიწია. მძაფრ  
ცეცხლში მოხვედრილი მტრის ნაღმოსანი  
შეტოილდა და ნელ-ნელა ზღვის ფსკერის-  
კენ წავიდა. ნაპირიდან ყუმბარა პირდაპირ  
მოხვედროდა.

— ეს ბაბუას სამაგიეროდ! — წამოიძახა  
მაომ და სიყვარულით შეათვალიერა მოხუ-  
ცის გაცივებული სახე, მირე ჰორიზონტი-  
საკენ გაიხიდა. იქ მუქი სილუეტები გაუჩი-  
ნარებულოყვნენ.

— შეხედი, ბაბუა! ისინი მიდიან, მიდიან...  
— და დაჭრილი მაო მოხუცის მახლობლად  
ჩაიკეცა...

მალე მაშველმა კატარამ ბრძოლაგადახ-  
დილი ნავი და მისი გმირი ეკიპაჟი ნაპირზე  
გაიყვანა.

იმ დღეს სიმშვიდე იყო ყვითელ ზღვაზე.



## ო ბ რ ე ბ ი

ახალნაყუმბარევ ორმოში ჩაცუცქებული და მწარედ  
ტირის სამი პაწია ბავშვი — ორი გოგონა და ერთი  
ბიჭუნა. უფროსი გოგონა პატარა ხელებს უცაცუნებს  
დედის განისხლიანებულ ლოყებს და წვრილი, მისუს-  
ტებული ხმით, ცრემლის ღვრით შესთხოვს:

— დედა, ძვირფასო დედიკო, გაახილე თვალები,  
წამოდექი!

მაგრამ პაკ ჩუნ ხვა, კორეელი გლეხი ქალი, სამი  
შვილის დედა, ვერასოდეს ვერ გაახელს თვალებს, ეს  
ბავშვები ვერასოდეს ვერ ნახავენ თავიანთ საყვარელ  
დედას — იგი ხომ ამერიკელთა ყუმბარამ მოჰკლა.  
მამა კიდევ ამერიკელებმა მოუკლეს ამ ბავშვებს. სად-  
ღა წავიდნენ პატარები? ვისღა სთხოვონ საქმელი?

ბედის ანაბარა როდი დარჩნენ ეს პაწია ობლებო,  
ქალაქ ფზენიანის სახალხო კომიტეტმა ისინი საბავ-  
შვო სახლში მოათავსა. კორეის სახალხო დემოკრატიუ-  
ლი მთავრობა მათ მსგავს 250 ათასზე მეტ ობოლ  
ბავშვს, რომელთა მშობლები ამერიკელმა ყაჩაღებმა  
იმსხვერპლეს, — მზრუნველობით უფლის და ობლობას  
არ აგრძნობინებს.

— წამი რაა,  
დასაკარგად  
ვერასოდეს შევედევო! —  
ასე ამბობს კომუნიზმის  
მკლავმაგარი მშენებელი.

ასე ამბობს, და საქმითაც  
სასწაუდის ჩამდენია.  
ვინ დაითვდის, აქ ვაჟკაცი  
შრომის ფრონტზე რამდენია.

ბრძოდის გმირი,  
შრომის გმირი,  
მეცნიერი სასახედო,  
იღწვის, რათა ასახედოს  
ჯულაშვიდის საქართველო, --

ბერიამ რომ დაამშვენა,  
ბერიამ რომ ალაშენა  
და ასწავდა გამარჯვების  
დაჟვარდისკენ აღმატრენა.


ჰოდა, მინდა ამ შრომაში  
ჩემი წვდილიც მივუმატო.  
განა ასე პატარა ვარ,  
კარგად ვსწავლობ განა მარტო?!

ვუკვირები ირგვდივ მყოფებს —  
ნაცნობი თუ მშობელია,  
ვინც საქვეყნო საქმისათვის  
დაუღლადი მშრომელია.

და იმათგან ვსწავლობ საქმის  
გამტკიცებას დიდი მიზნით,  
რომ მეც ვიყო სასახედო  
მშენებელი კომუნიზმის.

ეპელიან ქარლიანი





### გიორგი მერაბიშვილის დაუფლები შესახებ

ძნელია დავასახელოთ ისეთი მწერალი როგორც ჩვენ ქვეყანაში, ისე ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რომელიც ისე ახლოს ყოფილიყოს ახალგაზრდობასთან, ისე ჰყვარებოდეს ახალგაზრდობა, როგორც გორკის.

გორკი ჩინებულად იცნობდა ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებას, მის ინტერესებს, მის იდეალებს. არ ყოფილა ახალგაზრდობის ცხოვრების არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მის კალამს გამოჰპარვოდეს, მის განხილვა-გადაწყვეტილებაში მას მონაწილეობა არ მიეცა.

რაოდენ დიდი მშობლიური სითბო და სიყვარული გამოსჰვივის ახალგაზრდობისადმი მიმართულ გორკის შემდეგ სიტყვებში: „მე რომ გრძელი ხელი მქონოდა, თვითეულ თქვენგანს გამოგიწოდებდით, რომ მაგრად ჩამომერთმია და იმ გრძნობის მეათელი მაინც გადმომეცა, რასაც განვიცდი. მშვენიერი ადამიანები ცხოვრობენ რუსეთში, მშვენიერი ხალხი ხართ თქვენ“.

ძნელია დავასახელოთ ისეთი მწერალი, რომელიც ახალგაზრდობას ისე ძლიერ ყვარებოდეს, როგორც გორკი.

მრავალ რჩევა-დარიგებათაგან გორკი ახალგაზრდობას განსაკუთრებული დაუჩინებით ურჩევდა, სამშობლოს საბედნიეროდ და ასაყვავებლად, მთელი თავისი ენერგი-

ითა და გატაცებით, მთელი თავისი გულმოდგინებით დასწაფებოდა სწავლას, დაუფლებოდა მეცნიერებასა და ტექნიკას, საერთოდ კულტურას.

გორკის უყვარდა ახალგაზრდობისათვის გაეხსენებინა, რომ ძველი რეჟიმის დროს, ძეფისა და ბურჟუაზიის რეჟიმის დროს, მას შეკრული ექნებოდა გზა სწავლისაკენ, კულტურის დაუფლებისაკენ, რომ მათგან შეუძლებელი იქნებოდა გამოსულიყვნენ სოციალურად სასარგებლო ადამიანები.

გორკი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზია — ახალგაზრდობას სთრგუნავს არა მხოლოდ ეკონომიურად და პოლიტიკურად, არამედ სულიერადაც. „ევროპისა და ამერიკის ლიტერატურა საესგა ნიჭიერ ადამიანთა უნაყოფოდ დაღუპვის აღწერებით“, — გულისტკივილით შენიშნავდა იგი. მრავალი მაგალითი მოჰყავდა იმის ნათელსაყოფად, თუ ბურჟუაზია როგორ უხუტავს უნივერსიტეტებს ახალგაზრდობას, როგორ ერეკება მას სკოლის გარეთ და რა ბარბაროსული მეთოდებით ცდილობს ჩაახშოს მასში სწავლის, მეცნიერების დაუფლების წყურვილი, როგორ იღუპება ათასობით ნიჭიერი ადამიანი.

„ერთი წლის წინათ რამდენიმე დიდმა გერმანულმა გაზეთმა დაბეჭდა სტატიები (ლაპარაკია ყოფილ ფაშისტურ-ჰიტლერულ გერმანიაზე. ა. ბ.), რომლებშიც ისინი მკვერ-მეტყველურად არწმუნებდნენ ყმაწვილებს, ნუ ისწრაფით უნივერსიტეტებისაკენ, ვინაიდან გერმანიაში განათლებული ხალხის სიჭარბეა, მათ საქმე არა აქვთ და კაპიტალისტთა სახელმწიფოს საზიანოდ მიაჩნია მათი რაოდენობის გაზრდა“.

გორკი სიხარულით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობისათვის უცნობია კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ახალგაზრდობისათვის შემაზრხენი მდგომარეობა: სიღატაკე, უმუშევრობა, ხვალინდელი დღის შიში, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის წინაშე მთავარ საკითხად დგას არა სამუშაოს შოვნის, არამედ პროფესიის არჩევის საკითხი.

კულტურის დარგთა შორის ყველაზე მაღალ შეფასებას გორკი მეცნიერებას ანიჭებდა. „ყველაზე გასაოცარი, რასაც მან (ადამიანმა. ა. ბ.) მიაღწია — ეს არის მისი მეცნიერება... შემდეგ — ეს არის მისი ტექნიკა, რომელიც მეცნიერების საფუძველზე წარმოიშვა... შემდეგ — ეს არის მისი ხელოვნება“ — წერდა გორკი.

მეცნიერება გორკის მიაჩნდა კლასობრივი ბრძოლისა და სინამდვილის შესწავლისა და გარდაქმნის ყველაზე ზასრ იარაღად.

მ. გორკი ახალგაზრდობას ურჩევდა საკუთარ თავში აღეზარდა და განევითარებინა სიყვარული სწავლისადმი, ამბობდა, რომ საჭიროა საკუთარ თავში აღზარდოთ და განავითაროთ სიყვარული სწავლისადმი, რათა სწავლა ისეთივე სასიამოვნო იქნეს, როგორც თამაშია, რომ ტვინი ვარჯიშით, ტრენირებით ისევე აღიზრდება, როგორც კუნთები.

დიდი რუსი მწერალი სიზარმაცეს გონების სიმახინჯეს უწოდებდა. თვითკმაყოფილება და მცირე ცოდნით დაკმაყოფილება ასევე სიმახინჯედ მიაჩნდა. „გონებრივი სიმახინჯის საფუძველია გონების სიზარმაცე, მისი უსურველობა ისწავლოს, იცოდეს, მისი თვითკმაყოფილება ან დაკმაყოფილება უმნიშვნელო ცოდნით. ამ სიმახინჯეს ჩვეულებრივ ერთი სიტყვა ეწოდება — სიბრაყე“.

გორკი ახალგაზრდობას ურჩევდა მეცნიერებისა და ცხოვრების გზაზე დაბრკოლებათა გადასალახავად თავის თავში გამოემუშავენა რწმენა საკუთარი ძალისა, გამოემუშავენა ნებისყოფა: „თქვენ უნდა განიმტკიცოთ რწმენა საკუთარი თავისადმი, სა-

კუთარი ძალისადმი, ეს რწმენა კი დაბრკოლებათა გადალახვით, ნებისყოფის აღზრდით, მისი „ვარჯიშით“ შეიძლება იქნეს მიღწეული“.

გორკი სწავლას არასოდეს დაგვიანებულად: „სწავლა, ამხანაგო, ყოველთვის საჭიროა, მთელ ცხოვრებაში, ეს კარგი საქმეა, და იგი ბევრ სიხარულს ანიჭებს ადამიანს“. — სწერდა იგი ერთ-ერთ ახალგაზრდას.

გორკის გატაცებით უყვარდა წიგნი და მისდამი სიყვარულს უქადაგებდა ყველას, — დიდსა და პატარას.

15 წლის წინათ გარდაიცვალა მ. გორკი, მაგრამ კომუნისტების მგზნებარე მეტროქოლი მწერლის ნათელი ხსოვნა საბჭოთა ახალგაზრდობას დღესაც მოუწოდებს ისწავლოს და იშრომოს სამშობლოს საბედნიეროდ. გორკის ცხოვრების დაუფიქარი ჰაგალითი დღესაც ვეყვარებს ბრძოლას მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების დაუფლებისათვის.

ა. ბილანიშვილი



## შ ე ხ ვ ე ღ რ ა

1928 წელს ვცხოვრობდი სამოქალაქო ომში დაღუპულ მეომართა ობლებისათვის მოწყობილ მოსკოვის პიონერთა კომუნაში.

გორკი ის იყო დაბრუნდა საზღვარგარეთიდან. ჩვენ, საბავშვო სახლის კომუნარები, გატაცებით ვაღვინებდით თვალს გაზეთებს, რომლებიც დიდი მწერლის შესახებ წერდნენ: გორკი შეხვდა წითელი არმიის მეთაურებს, მასწავლებლებს, მეთევზეებს, მწერლებს. და გადაწყვიტეთ ჩვენც მოგვეწვია იგი სტუმრად. მწერლის ბინაზე გაემართა დელეგაცია, რომელმაც სასიხარულო ცნობა მოგვტანა:

— გორკი მალე ჩვენთან იქნება.

მოუთმენლად ველოდით შეხვედრის დღეს. სადღესასწაულო კოსტიუმებში გამოწყობილნი ჩავმწკრივდით ნათელი კიბეების გასწვრივ. საპარადო შესასვლელთან გაჩერდა ცისფერი ავტომანქანა. იქიდან გადმოვიდა მაღალი, ფართომხარბეკიანი კაცი, ხშირი უღვაშებით. მესაყვირებმა და მედოღებმა დაჰკრეს საზეიმო ნაღარა. გორკის მარცხენა მკლავზე გადაკიდებული ჰქონდა საწვიმარი მოსასხამი, ხელში ეჭირა ჯოხი და ქული. იგი გაბრწყინებული თვალებით, მხიარული სახით ავიდა კიბეზე. ერთმა ჩვენმა პიონერმა გოგონამ გორკის სათუთად გაუყეთა ყელზე საპატიო პიონერის ყელსახვევი.

როგორც კი გორკი შენობაში შევიდა, ჩვენ გარშემოვერტყით მას, ხოლო მან თავისი დიდი მკლავები შემოხვია ბავშვების ჯგუფს და ასე გაემართა კომუნის დასათვალიერებლად. მან დაიარა ჩვენი საძინებელი ოთახები, გამოგვკითხა როგორ ვიკვებებით, როგორ ვსწავლობთ, სინჯავდა ჩვენს ლოგინებს, გვეკითხებოდა—ხომ რბილათ წევხართო.

მალე ჩვენ შევედით პიონერთა დიდ ოთახში, სადაც კომუნის ჩამოყალიბების დღესვე სიყვარულით მოვაწყეთ ორი კუთხე — ლენინისა და გორკისა. გორკიმ ყურადღებით დაათვალიერა ლენინის კუთხე და ჩვენზე მკლავშემოხვეული მოულოდნელად მიადგა „გორკის კუთხეს“. დაათვალიერა რა სურათები, წიგნებით დატვირთული თაროები, იგი მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— კარგად კი გამოგიძივართ მე აქ, ჩემო ძვირფასებო, მთელს კედელზე... ერთი ეს მითხარით, თუ კითხულობთ ჩემს წიგნებს?

მაშინვე ერთ-ერთმა ბავშვმა, ადელეებისაგან ათროლოებულმა, წაიკითხა „სიმღერა ქარიშხალაზე“, ხოლო გორკი ცოტა მოშორებით იდგა და ადფრთოვანებით უსმენდა მას.

ალექსანდრე ფილატოვი



# თეთრი მთები

მოთხრობა

არსკონი ქლანიძე

მხატვარი ა. ბანძელაძე

ეს მოთხრობა პრემიერებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის მიერ საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებული კონკურსის ფურის მიერ 1950 წელს.

## მონადირე

ტყეში განთიადი თანდათან შემოიჭრა. პირველად ჩხიკვა გაახილა თვალები, ფრთები აჩჩეხა და დაიჩხავლა.

მის ჩხავილზე იქვე, ხის ძირში, მწოლარე შველს გამოეღვიძა. საიდანაც ნიავმა ჩამოიქროლა, ჩხიკვის წინ ჩამოშვებული ფოთლები გვერდზე გადასწია; ამ დროს ჩხიკვა მოშორებით გამოძინებული თოფი შეამჩნია, ელანაკრავით წამოფრთხილდა და შველს ჩამოსძახა:

— ტყის დედოფალო, თავს უშველე, მონადირეა.

შელი მოწყდა ადგილიდან. ჩხიკვი მიფრინაოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ჩხაოდა:

— თავს უშველეო, ტყეში მონადირე შემოვიდა!

ატყდა განგამი, ტყის მცხოვრებოები ერთიმეორეს აფრთხილებდნენ და გარბოდნენ...

— უჰ, რა ნავსი თვალი აქვს მაგ ოხერს, ყოველთვის ვერიდები, როცა სანადიროდ მიდივარ, მაგრამ მაინც არ ამცდა! — წამოიძახა ლეგო პაპამ. — თანაც რა უშნო ჩხაილი იკის, მთელ ტყეს ააფორაქებს, განსაკუთრებით თუ შემინებულია.

მონადირემ ახლა სხვა მხარეს მიაშურა. მუხათკიხურას ხეში შიოხია. იქ ჯარ დათვის კალს წააწყდა, შემდეგ შველი წამოაიღო, მაგრამ ორივე სათოვარ ნაწევარებში გადაეკარგა და თავი მიანება.


შუადღისას გილნარის ხევში არჩვი შეფეტა, ახლა იმას აედევნა, თუმცა აღარც

იმის მოკვლის იმედი ჰქონდა: სათოფეზე არ იკარებდა მოუხვენარი ცხოველი. ბევრი სდია... ბოლოს ისე მოხდა, რომ ერთი ნასროლით დაიმორჩილა.

ნანადირევთან რომ მივიდა, მის გვერდით მეხდანაკრავი წიფელი დაინახა — წინადღებში დიდი ავღრების დროს დასცემოდა მეხი, ვეებერთელა ხე კენწეროდან დაწყებული ძირამდე შუაზე ჩაეხეჩა, ნახევარი ფესვებიანად და მიწიანად გადმოებრუნებინა; მის ნადგომზე ჩამონგრეული ბექიდან შუქი გამოკრთოდა; მონადირე შუქის მიზეზს ჯერ ვერ მიხვდა, ბევრი რამ გაიფიქრა, მაგრამ ახლოს რომ მივიდა, გაცივებული დარჩა: ჩამონგრეული ბექიდან თოვლივით თეთრი კლდე გამოჩენილიყო, ნაპირი მოსტეხოდა, ის ელვარებდა ასე წარმტაცად, მისი შუქი ანათებდა.

ლეგო პაპას პირველად უბრალო კლდე ეგონა, მაგრამ როცა ნატეხი გასინჯა, დანით გადაფხიკა, გააპრიალა, აღტაცებით წამოიძახა: — აი ბედნიერი შეხგორია—მარმარილო ვიპოვე! კლოის მიწა, მტკერი გადააქალა, ნაპირები მოუხინჯა. მისი ჭალარა მარმარილოს შუქმა თეთრად ააღვარა.

ამ კლდის პოვნამ ისე გაახარა მოხუცი, რომ ნანადირევი გადააიწყდა, კლოის ელვარებდას თაღს ვერ აშორებდა; მაინც ჩვეულვად ჰქონდა: როცა რყე-ლრეში დადიოდა, ჩამონგრეულ, ჩამოშვებულ აოგილებს ყორალოვით ათალოირებდა, იქნება სადმე მადანს წააწყვიდ, ხაოხს სიკითე მოაუჩანო. სახლში ერთი თარო მინერალოვითა და სხადასხა ფერადი ქვებით ჰქონდა სავსე. ბევრი რამ უარგისივ შეეგროვებინა, მაგრამ მაინც ყურადღებით ეკი-



დებოდა, შეიძლება რისავესმე გამოდგესო. სულ იცოდა, სად რა მინერალი ჰქონდა ნაპოვნნი. ახლა მარმარილომ უფრო მეტად დააიძვრა, ფიქრობდა: შეიძლება იმდენი მარაგი აღმოჩნდეს, ოდესღაც ყველა ღარიბის ქონი ამის სასახლეებად იქცესო!

### ა მ ა ო ი მ ე დ ი

სოფელში მეორე დღესვე ხმა გავარდა: ლეგო პაპას ლოპოტის სათავეში რაღაც თეთრი კლდე უპოვნია და მისი ნატეხი ქალაქში გასასიხჯად მიაქვსო. ზოგს ეს ხუმრობა ეგონა, მაგრამ ლეგო პაპას ქალაქში წასვლა მართლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

— მოდი მთავრობის ყურში ჩავაგდებ, იქნება მოგვხედოს და ჩემი ოცნება სინამდვილედ იქცესო. — ამბობდა ლეგო პაპა.

თავისი განზრახვა სოფლის თაჯაკობსაც გაუმხილა, მაგრამ იმათგან ზოგმა მოუწონა, ზოგმაც უიმედოდ აიჩეჩა მხრები.

ლეგო პაპას მაინც გულმა არ მოუხსენა, ცდა ბედის მონახევრეაო. წავიდა თბილისს და მარმარილოს ნატეხიც თან წაიღო.

იქ ერთი დიდი ხნის ნაქნობი ჰყავდა, იმას ისტუმრა, ჩამოსვლის მიზანი გააცნო და დახმარება სთხოვა. მისი მასპინძელი რკინიგზის მუშა იყო, ქვეყნის აკვარჯი უკეთესად გაეგებოდა, იცოდა, რა პასუხსაც მიიღობდნენ, მაგრამ სტუმარს არაფერი უთხრა, ამბობინა — თავისი თვალთა და ყურით დარწმუნდესო, და გაჰყავა.

რომელიღაც სამთამადნო დაწესებულობის უფროსთან მესამე დღეს ძლიერ მოახერხეს შესვლა. უფროსი მაგიდასთან იჯდა და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, გეგონებოდათ წითლის მორი დაუყუდებიათ, გადანახირხხე ყვირილი გოგრა დაუდევთ და ზოი მონდირი შემოუკვამითო. ცისტერი გაუმორეცხილი თალოები სადღაც შორიდან ცივად გამოიყურებოდნენ.

ლეგო პაპამ უბიდან მარმარილოს ნატეხი ამოიღო და მაგიდაზე დაუთო უფროსს. უფროსმა ჯერ კოლდის ნატეხს გადახედა, მერმე მისი მომჩანთი შეათვალა; ეუცხოდა მისი ტანსაცმელი და მორთულობა: ახალბუნა შემოცმული შაი ჩოხა, ცხვრის ტყაის ბოხონი ჩუდი, თასმის ქამარში ჩამოიდებული გრძილი ხანჯალი, შაი წინდებში ხამი თასმით ამოკრული გამხმარი ქალამნიბი. ჩინოვნიკი გაოკებით აკირდებოდა თქაიგოს და ფიქრობდა: საითან იცის ამ გლეხმა ამ ცივი ჩაის მნიშვნელობაო.

როგორც იყო ამოძრავდა „წითლის მორი“, აიღო მარმარილოს ნატეხი, კოტიტა თითებით გასიხჯა, შემდეგ რუკაზე კავა-

სიონის მთები მონახა, მდინარე ლოპოტის სათავეები შემოხაზა, ხარჯები, დრო, ექვსი დილი გამორჩენის თვალსაზრისით განვიწყობოთაო ისიც კი გაიფიქრა — ეგება უცხოელებს მივყიდოთო, და შემდეგ რაღაც წაილულ-ლულა.

— ამ თეთრი კლდეებისათვის თავის შეწყუბება არა ღირსო, ამბობს მისი აღმატებულიება, — გადაუთარგმნა ფშაველს თარჯიმანმა.

ლეგო პაპას გულზე ჯერ თითქოს ცივი წყალი გადაესხა, მერმე გული აუღულდა, აემღვრა, იქაურობას თვალის ზიზღით მოაქლო, მარმარილოს ნატეხი უბეში ჩაიღო და ხმაამოუღებლივ გამობრუნდა; იმ ღამესვე გაჰყვა კახეთის მატარებელს.

### ფ ი ც ი

გავიდა ხანი. მარმარილო ყველას გადაავიწყდა, ლეგო პაპას კი ისევ დარდად აწვა გულზე. მომაღლის იმედილა ჰქონდა; როცა ბავშვებს ზღაპრებს უამბობდა, ლოპოტის სათავეში თავისი ნადირობისა და იქ მარმარილოს პოვნის მართალ ამბავსაც მიაყოლებდა.

ლეგო პაპა ერთ ზაფხულს იმ მთებში, სადაც მარმარილო იბოვა, თუშების ცხვრის ბინაში ავიდა და მათთან დროებით მწყემსად დადგა; იქ ერთი ობოლი ბიჭი დახვდა. თორმეტი წელი მაშინდა უსრულოობდა. მოეწონა მოხუცს მისი ნიჭი და წასიერი ყოფაჩევა. ისე შეუყვარდა, რომ მუდამ თან დაჰყვებოდა. — ორივენი ცხვრის ერთ ფარას უვლიდნენ.

ლეგო პაპამ გადაწყვიტა ბავშვისათვის წერა-კითხვა ესწავლებინა, მაგრამ წიგნ, ქალაქი და ფანჯარი არა ჰქონდა. ბოლოს იმ საშუალებას მიმართა, რითაც თვითონ მას ასწავლეს წინაპრებმა წერა-კითხვა, — ცხენის თეხიდან აპარდნილ ნალს ლურსმანი ამოაძრო, გაასწორა, წამახვილა, ოღურჯ სიპზე იმით ლამაზი. მოხიენილი ასოები მოხაზა და პატარა მწყემსს უთხრა: — აჰა, შილოო, ეს ანბანი ისწავლე, ეს გაგიხსნის წიგნის კარებს. წიგნი ცხოვრებისას და მაშინ ყველაფერს ცხადად დაინახავ, მტერსა და მოყვარეს უკეთესად გაარჩევო.

ბავში გაბრწყინებული თალობით მიაჩერდა მოხუცს. ნათქვამი გულდასმით მოისმინა, ასოებით აჩრებებული სიბი ჩამოართვა და მადლობა უთხრა.

ცივი ქვა მის პატარა ხელებში გათბა, თითქოს გული ჩაედგათ, მდუმარების იერა დაკარგა, ამეტყველდა.

ორი თვის შემდეგ ლეგო პაპამ ბინის გადაღმა მოჩუხჩუხე ნაკადულის პირას სიბზე ასეთი წარწერა იპოვა: „გამარჯობა ნაკადულო! მე თენგა ბიჭი ვარ, პატარა მწყემსი. წერა-კითხვა ლეგო პაპამ მასწავლა“.

გახარებულმა მოხუცმა სიბი ბინაში წაიღო. საღამოთი, როცა მწყემსები მოვიდნენ და წაიკითხეს მასზე თენგა ბიჭის წარწერილი სიტყვები, უზომოდ გაუხარდათ; თენგა ბიჭი მოიკითხეს, უნდოდათ მიელოცათ, ქება ეთქვათ, მაგრამ იქ ვეღარ იპოვეს. როცა გაიგო მასზე ლაპარაკობდნენ, ბავშვი საღაცეა დაიძალა.

ამის შემდეგ ლეგო პაპას ჟღერო შეუყვარდა პატარა მეგობარი, გაორკვირებით ზრუნავდა მასზე — უამბობდა ძველ ამბებს, თქმულებებს, ზღაპრებს, აზებობდნენ ვაჟა-ფშაველას, გურამიშვილის ლექსებს, ასწავლიდა მცენარეების, ყვავილების, ცხოველების სახელებს.

პატარა მწყემსი უფრო წახალისდა, გაბეჯითდა, ცხვარსაც უკეთესად უვლიდა; უფროსებისაგან ისეთი ნდობა დაიმსახურა, რომ ათასიან ფარას უყოყმანოდ მარტოს ჩააბარებდნენ.

მიიწურა ზათხულო, შემოდგომა პირველად მთებში შემოიპარა და ყველგან ქარვის ფერი მიმოაბნია.

მწყემსები ბარისკენ წასვლის სამზადისს შეუდგნენ. ლეგო პაპამაც სოფელში დაბრუნება გადაწყვიტა.

ფარა ბარისკენ დაიძრა. ლეგო პაპამ ცხვარს მარმარილოს საბადოებისაკენ ააღებინა გზი. როცა საბადოსთან მივიდნენ, მოხუცმა პატარა მწყემსი თეთრ კლდეებთან მიიყვანა და უთხრა: „ძაილოთაგან გამიგონია, რომ თურმე კავკასიონის მთარეხილში ცხრა მთა ისეთი, რომოვებიც სხვა მთებისაგან განსხვავდებიან: ერთია ლალისა, მეორე—ზურმუხტისა, მესამე—ბროლისა, მეოთხე—იაგუნდისა, მეხუთე—ოჭროსი, მეექვსე—ვერცხლისა, მეშვიდე — სპილენძისა, მერვე — რკინისა და მეცხრე — მარმარილოსი.“

იმ მთებიდან დღემდე რა იპოვეს და რა ვერა, ვერაფერს გეტყვი, მხოლოდ მარმარილოს მთა კი აი ეს არის, ჩვენ რომ ვღვაფართ. შეხედე ამ თეთრ კლდეს, მე ეს




— მარმარილოს მთა კი აი ეს არის, ჩვენ რომ ვღვაფართ.

ააი წლის წინათ ნადირობის დროს ვიპოვე. მინდოდა ამ კლდეებს შევეჭიდებოდი, დამეძლია, ლოდებად, ფიქლებად დამეშალა, ბარად ჩამომეტანა, სასახლეები ამეგო. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერაფერს გაიხდი. ახლა სიბერეშიც ხელი დამრია, მწყემსობასა და ნადირობასაც თავი უნდა მივანებო. აი, სოფელში მიიღივარ. მე და შენ ერთიმეორეს ვშორდებით. შეიძლება ვივარც კი შეგზადოთ ერთმანეთს. ერთსა გთხოვ: მომიაალი შენია, ეცადე ჩემი წადილი შეასრულო. ხოლო თუ ვერ შესძლო, ეს კლდეები სხვას ასწავლო და ჩემი სურვილიც უთხარი: როცა იქნება, ჩაგრულ ხალხს ბოი გაოლიმიპს და ამ თეთრ კლდეებსაც ესტუმრებიან. შემომთვიცე...“

თენგა ბიჭი მოხუცის ნაამბობზე სიხარულით ცას დაეწეოდა, თეთრ კლდეებზე დაილორს, გამართადა, მაგრამ ლეგო პაპას განშორების ამბავმა გული ატკინა, დარდი შემოაწა. დამუნჯდა. ფიცი ძლივს ათქმევინა ბავშვებს...

### ხალხის განთიადი

ლეგო პაპას წასვლის შემდეგ თენგა ბიჭის ბავშვებს ღიმილი დაეკარგა, გულჩათხრობილი, დაღვრემილი დაჰყავებოდა ბროლისფერ ფარას პატარა მწყემსი; ახლა მო-



ხეცთან დადებული ალთაშაც დარდად და-  
აწვა გულზე: ჩემი პაწია ხელებით იმ  
კლდეებს როგორ დავძრავ, ფიცს როგორ  
შევასრულებო...

პატარა მწყემსის დარდი ყველას აღო-  
ნებდა. ყავილები, ბალახები, ჩვე-კოდე,  
მღინარე, ნაკადლონი მის თვალგზში ზრუნ-  
ვით იხედებოდნენ და ანუაგებდნენ: — სუ-  
ვეშინია, თენგა ბიჭო! გაიზრდები, დაჯა-  
კაცობი, ისეთი სისწრაფე მოაქვია, რომ  
გაფრინოლ ორბს დაეწვი, იმდენი ღონე  
მოგემატება, რომ კლდეებს გაარღვევ.

ერთ ზამთარს, როცა ცხვარი ბარად ჰყავ-  
დათ დაბინაიებული, მათ ბინაში მეტად სა-  
სიხარულო ამბავი მოიტანეს: მეთვის ხე-  
ლისუთლება დაიმხრო. ამ სასიხარულო ამ-  
ბავს მალე მორე სიხარული მოჰყვა: რუ-  
სეთში ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა  
რევოლუციამ გაიმარჯვა. ამ რევოლუ-  
ციამ ქართლი ხალხში დიდი გამოძახილი  
ჰბოძა და 1921 წილს საჩართელოში საბ-  
ჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

— ლენინი და სტალინი არიან ჩვენი ბე-  
ლადიბი, მათ მოგიტანეს ეს ბედნიერებაო,  
— ამბობდნენ ხალხში. — სათავა კი ცრიმ-  
ლის ტბაა, ყიჟოა უნდა დაშრის. უთარხო  
ბაღნარად იჩივს, ქოხები — სასახლეებად,  
ყიჟოა ოარიბისა და ობლისათვის სკოლის  
ქარი უნდა გაიოოსო.

ამის გაგონებაზე თენგა ბიჭი სიხარუ-  
ლით ათრთოლოდა და ხალხის ბელოების  
საჩივრები გულში იმითად ჩაიწერა: გაახ-  
სენოა. რომ ღიგო პაპასაც სძლოდა მითისა  
და მიწმეიკობის მთარობა, მუთამ ხალხის  
ბიოზი ორენობოდა, ხალხის გამარჯობის  
ნატრობოდა, თაიისი ნაპოინი მარმარელოს  
კლდეები ჩოხიბისათვის, ხალხისათვის უნ-  
დოდა... ახლა რომ ხალხმა გაიმარჯვა, აუხ-  
დაო ნატობა იმ მოხუცსაც. თენგა ბიჭსაც,  
მწყემსობსაც, იმათ მსაიასს ათასს, ათი-  
ათასს. მილონებს... აწკრილდნენ თენგა ბი-  
ჭის სიმორები.

რაც დრო გაიოოდა, თენგა ბიჭის გულს  
დარდი აყოიბოდა, სწავლის სურვილი  
უფრო ემატიბოდა.

ერთ გაზათხოოზე მათმა ცხვარის ფარებ-  
მა, მოისკენ მუზარობისას, ერთგან სოფ-  
ლის შოა აიარის შარაგაზზე. ეს ცხო სო-  
ფილს ონოა დასკიობიბონენ. რომ ამ ოროს  
ერთ იზოში ზარი აწკრილოდა. ზარის წარი-  
აღს მოჰყვა მხიარული არიამოლი. ბავშვები  
ჯგუთ-ჯგუთად გამოიშოონენ გარეთ.

თენგა ბიჭმა გაიგო, რომ იქ სკოლა იყო  
და შეჩერდა. თაღსარბად მიჩერდა სკო-  
ლას. ყველაფერს ელვის სისწრაფით აღევ-

ნებდა თვალყურს, უნდოდა შორიდან მაინც  
შეენიშნა ყველაფერი. ერთგან ბავშვები კატ-  
ლებით თამაშობდნენ, მეორეგან — კილა-  
ერთი ჯგუფი ლახტობდა, მეორე — კილა-  
ობდა. ერთი პატარა გოგონა ხის ძირში იჯ-  
და, წიგნი გადაეშალა, თითს აყოლებდა და  
ისე კითხულობდა.

რარიგ მოუნდა თენგა ბიჭს ის წიგნი მას  
ჰქონოდა. „რა ბედნიერები ხართ?!“ — ჩი-  
ლაპარაკა და გაჰყვა ცხვრის ფარას.

## თბილისისაკენ

პატარა მწყემსსაც აუხდა დიდი ხნის ნატ-  
ვრა — მთაში მათ ბინას თბილისიდან ეს-  
ტუმრა მიკენარეების შემგროვებელი ექსპე-  
დიცია. მწყემსებმა მკვლეგარებს გამყოლად  
თენგა ბიჭი მიუჩინეს. იმისი სიხარულიც ის  
იყო; სტუმრების ბარგში ბეარი წიგნი, სა-  
წერი ქალაღი და რალაც უნახავი, ოჩვეუ-  
ლო ნივთები შეამჩნია. ცნობისმოყვარეო-  
ბა მოსაინებას არ აძლოდა, უნდოდა ექს-  
პედიციასთან უფრო ახლოს ყოფილიყო,  
ყველა წიგნი გათავიკითხა, ბროლიით თეთრ  
ქალღზე დაუსრულებლივ ეწერა, რასაც  
კი გული შესთხოვდა. ფიქრობდა, ალბათ  
ქალღზე ასოები უფრო უკეთესად მოიხა-  
ნებდა, ვიდრე სიბზე და ხეზო.

პირველ დღეს გულჩათხრობილი, ხმა-  
ამოყოფილი დაჰყავებოდა „ბალახის მკრე-  
ფაებს“, უჩივებოდა კლოდეზე, ფერო-  
ბებზე გასავლოლ ბილიკებს: ხევიდან ხევი-  
ზე, მოიოან მთაზე ფრთხილად გადაჰყავდა.  
მათ მოქმიბებას გულდასმით აკირბობოდა,  
უსმინოდა მათ. უკვიროდა, რომ ყველა მიკენა-  
რეს მისთვის გაუთებარ, რაოც უკანაურ სა-  
ხელს უწოდებდნენ, თითონ კი იმათ ნამდ-  
ვილ ჩართულ სახელებს გუნებაში ჩუმად  
ამბობდა.

სტუმრები მწყემსებთან ორი თვე დარჩ-  
ნენ; იმ ხნის განმავლობაში თენგა ბიჭი  
მოთამ მათ დაჰყავებოდა. ისე შეუყვაროდათ  
ბიჭი, რომ დოე და ღამე არ იშორებდნენ.

მოშაობის შემდეგ ყოველ საღამოს თენ-  
გა ბიჭი ფანდურის, საღამურის დაკარით,  
მოხიენილი რეკვიტა და სიმღერებით მთილ  
ბინას აღზინოდა. როცა დაკარა, ცეკვა და  
სიმორა მოსწყინებოდა, ახლა დაყას, გუ-  
რამიშვილისა და ხაოხურ ლექსებს მიო-  
ბრუნებოდა. თუ საჰირო იყო, ზღაპრების  
გოთასაც მოხსნიდა პირს. ყველა განკიფ-  
რებული იყო მისი ნიჭით. ერთი ორჯორ  
რომ ვინმე ლოქს ეტყოდა. მისივე აკ-  
რეთოა და ნაკათოლოით ჩამოამღერბდა,  
ზღაპრისთვის ხომ ერთი ყურის მოკვრა



იყო საჭირო, მაშინვე ზღაპრების, ამბების, და თქმულების უფრო გულაში გადაუძახებდა და შემდეგ, როცა დასჭირდებოდა, ამოაძნეურებდა.

როცა სტუმრებმა გაიგეს ობოლია, არავინ გააჩნიაო, სიბრალულით აივსენ, უფრო შეუყვარდათ. ყველა აღებრა ძისი დახმარების სურვილი; გადაწყვიტეს მწყემსებისათვის ეთხოვათ თეზა ბიჭი, თუ დათანხმდებოდნენ, თბილისში წაეყვანათ სასწავლებლად. პირველად თენგა ბიჭს გაუმხილეს თავისი წადილი, კავკასიისის მთებიდან გოდორის მთებისაკენ თბილისის მიმართულებით გაუშვირეს ხელი და სწავლაზე ჩაძოუგდეს საუბარი.

თეზა ბიჭი სიხარულით ცას ეწია, უყოყმანოდ დასთანხმდა.

სტუმრების გადაწყვეტილება მწყემსებსაც ძოეწონათ, თუცა შეყოყმანდები და ექსტედიციის მონაყოლებს უთხრეს, ჩვენი თეზა ბიჭი როგორ უიდა დავთმით, ისი-შოოეზე როგორ გააყოლოთო, ძაგრად თენგა ბიჭი ისე იყო სწავლას მოწადინებული, რომ თავისი გაიტახა — ხვეწხით და მუდართით დაითახხა ძყყმესები. ხშირად გესტუმრებით, მალ-მალე წერილებს მოგწერთ, — ეუბნებოდა მათ. თვითონ თენგა ბიჭსაც ეძხელებოდა ცხვრისა და ამხანაგებს განშორება, მაგრამ სწავლის სურვილი ყველაფერს სძლედა.

თენგა ბიჭმა წასვლის წინ მთელი არემარე შემოირბინა; ემშვიდობებოდა ხეს, ქვას, ჩახჩქერებს, ნაკადულებს, მთებს, ყვავილებს, ყოველ ნაცობს საგანს, ეძხელებოდა მათი დათმობა. „ძივიდივარ, მთებო, ხაკადულებო, ჩახჩქერებო, ლივლივა ჩიორებო, მივიდივარ“, — ალერსით ეტიტინებოდა მათ თენგა ბიჭი.

არ ეთმობოდა არც პირადი ნივთები და მწყემსის ტანსაცმელი. ბევრი იფიქრა, როგორ მოქცეოდა მათ და ბოლოს ასე განსაჯა: სამეცხვარეო ჯონი ქონის ჭერში, დედაბოდის თავზე შეინახა, ფანდურს დანის წვერით ასე დააწერა: „თენგა ბიჭისა ვარ, სახსოვრად დატოვებული“. გულა ყველაზე ახალგაზრდა მწყემსს გადასცა და გაეხუმრა: პურ-წყალი მუდამ ამ გუდით ატარე, შიგ ნაყარი არ გამოლიო, და მე, სადაც არ უნდა ვიყო, არ მომშვიდებაო; თქვა და ნაბადიც მწყემსებს გადასცა, სალამური კი თანამგზავრად დაიტოვა — საწვივეში გაიკეთა, ცხვრის ფარებს გარს შეუარა, ვაცებსა და ბოცვებს ხმალა რქებზე ხელი გადაუსვა. ბროლიას, ჯავრიასა და აფთარას დამშვიდობების ნიშნად წინა თათები

გამოაწვდევინა, მწყემსები სათითოდ გადაჰკოცნა; უხილოდა იმ წუთში ლეგო პაპაც ემყოფილიყო, იმისი ჭაღარაც დაეკოცნა, მარძარილოს კლდეებზე კიდევ ეთქვა დანართების ფიცი... იოლოს ერთი კიდევ ძოავლო თვალთ იქაურობას და გაჰყვა მიძაველ მგზავრებს.

მგზავრებმა გადაიარეს საყორნიისა და ანდარაზის ქედი. ჩაიარეს ქობტის ფერლობები, გადასერეს შიგნი კახეთი, გომბორის მთები და მესამე დღეს თბილისში შევიდნენ.

ქალაქმა გააოცა მთებიდან მოსული ბატარა სტუმარი. ახლად მიხვდა, რომ ქვეყანა უფრო ვრცელი ყოფილა, ვიდრე აქამდე ეგონა.

### ს კ ო ლ ა შ ი

ქალაქში ჩასვლიდან ერთი კვირის შემდეგ მუშფაკის მოსამზადებელ კურსებზე ჩარიცხეს ნამწყემსარი. სწავლის დაწყების დღეს, როცა სკოლისაკენ გამგზავრეს, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ფრთები შეესხა და მიფრინავდა.

კარგა მანძილი გაიარეს, მტკვარზე გადავიდნენ; მის მარცხენა სანაპირო ქუჩას გაჰყვნენ და ერთი დიდი, ორსართულიანი შენობის კარებთან გაჩერდნენ. აი, ეს არის




წასვლის წინ თენგა ბიჭმა მთელი არემარე შემოირბინა.

თქვენი სკოლაო,—უთხრა გამძლოლმა; თენგა ბიჭი სახტად დარჩა, ისეთ შენობაში თავის დღეში არ შესულიყო. ძალიან მოეწონა, ყველაზე მეტად კედლების ჩუქურთმებმა გაიტაცა, მისი სიმაღლეც გაუკვირდა — მთისოდენა მოეჩვენა. სახურავს რომ შეხედა, თუშური ქუდი ძირს ჩამოუვარდა.

კარებში შევიდა, დერეფანი მოწიწებით გაიარა; გაპრიანებულ კიბეებს კრძალვით აღდგამდა ფეხებს. მეორე საართულზე ავიდნენ და იქ გაჩერდნენ. ცოტა ხანს შემდეგ გამძლოლი სადღაც წავიდა, ვიღაც კაცი მოიყვანა და ახალი მოწაფე გააცნო. მან იქვე გვერდზე საკლასო ოთახში შეიყვანა, თენგა ბიჭს მხარზე ხელი ჩაავლო და უთხრა: აი, აქ იმეცადინებთ, აბა, შენ იცი, როგორ გვასახელებო.

თენგა ბიჭს იქაც ყველაფერი ეუცხოვა; ვერ წარმოედგინა, რისთვის იყო კედელზე ჩამოკიდებული შავი ფერის, ოთხკუთხი ფართო ფიცარი, რომლის ღარივით ამობურცულ ბოლოზე ჩვარი და თეთრი კირის ნატეხები ელაგა, ან ის სხვადასხვა ფერითა და ხაზებით აკრელებული ქაღალდები, შუაზე ღერძაყარილი და სადგამზე დამაგრებული ჭრელი ბურთი.

ზარმა დაიწკრიალა. მოსწავლეები მერ-



— აბა, ახლა ვნახოთ, წერა როგორი იცო...

ბებზე ჩამწკრივდნენ. თენგა ბიჭი ყველაზე უკან დაჯდა და გულის ფანცქალით ელოდა მასწავლებლის გამოჩენას.

შემოვიდა მასწავლებელი; ყველანი ფეხზე წამოიშალენ და თავახიანად ძიესალმისენ. თენგა ბიჭი თვალს არ აშორებდა.

მასწავლებელმა ჟურნალი გადაშალა. გვარების ასოკითხვა დაიწყო. თენგა ბიჭი ახლა თავისი გვარის ასოკითხვის ძოლოდინში დღევადა. თავისი გვარიც ძალე გაიგონა და დაძმვილდა.

სიის ასოკითხვის შემდეგ მოსწავლეებს დაურჩიეს წიგნები და სხვა სასწავლო ხვეთეი. თენგა ბიჭმა პირველად წიგნი გასინჯა, მოუთენვლად გადაფურცლა, შიგ რამდენიმე ლექსი იპოვა, რომლებიც ლევო პაპასაგან ჰქონდა ნასწავლები. გაუკვირდა, ეს ლექსები აქ როგორღა ძოხვდაო.

მასწავლებელმა თენგა ბიჭი გაიძახა, წიგნი გადაუშალა და აჩვენა, საიდანაც უნდა წაეკითხა. თენგა ბიჭმა პირველი სტრიქონის დასაწყისი ძლივს გატეხა; კითხულობდა ძალიან ცუდად, ასოების ჩათვლით, აზრი ვერ გამოჰქვიოდა. უხერხულობა იგრძნო, გაწითლდა, ოფლმა დაასხა. წიგნი ვერ დაიმორჩილა, ორმოცი მოწაფე მისჩერებოდა მას.

მასწავლებელმა წიგნის კითხვა მიატოვებინა, დაფაზე თვითონ ცარცით რამდენიმე ასო შეძოხაზა, შემდეგ თენგა ბიჭს გადასცა და უთხრა: აბა, ახლა ვნახოთ, წერა როგორი იციო. თენგა ბიჭს დაფა ფართო ლურჯ სიპად წარმოუდგა. წამახვილებული ლურჯსანიც ძოაგონდა, რამდენიმეს ძუდამ ჯიბით რომ ატარებდა, ცარცს ისე მაგრად მოუჭირა ხელი, რომ დაიფშვნა; ნაფშვენები აქეთ-იქით გადაცვივდა. მასწავლეები შეიშმუშუნენ, ერთიმეორეს ღიმილით გადახედეს. მასწავლებელმა მეორე ნატეხი მიაწოდა; იმას უფრო ფრთხილად ძოავლო თითები. წიგნიდან წინადადების გადაწერა დაიწყო, პირველი ასო „ლ“ მოხდენილად ძოხაზა, შემდეგ სხვები უფრო ლამაზად ჩამწკრივა.


მასწავლებელს სახეზე კმაყოფილება დაეტყო. მხარზე ხელი დაადო, თავისკენ შემოაბრუნა და კითხა:

— წიგნს ძლივს კითხულობ, მთის ვაჟო, და ასეთი ლამაზი წერა სადღა ისწავლე?

ნამწყემსარმა მორცხვად თავი დახარა და წყნარად უპასუხა: წერას მთის ლურჯ სიპებზე ვსწავლობდი და წიგნი კი ჩემ დღეში არ მქონიაო.

(დასასრული იქნება)





## ილიას ობელისკთან

ზედაზნის მთებზე იღვრება შუქი,  
ზედაზნის მთების სიმღერა მიყვარს,  
სპეტაკი, როგორც ილიას შუბლი,  
ნათელი, როგორც ილიას სიტყვა.

ვერ დაადუმეს პოეტის ჩანგი,  
გზა ვერ გადუჭრეს დიდებით მოსილს.  
ამ ობელისკთან გაშლილი ვარდი  
უქანასკნელი ფიქრია მგოსნის.

შეჩერდი, ქარო, რას ჰქრი, ნეტავი,  
რა უხილავი ცეცხლი ჩაღდება.  
ილიას გული მუდამ მფეთქავი  
იქნებ არაგვის იქცა ტალღებად.

ტყვია ესროლა გამცემმა შუბლთან,  
მაგრამ ზღვა გული გრძნობებით სავსე  
ზე აიტაცა ვარსკვლავთა გუნდმა  
და მთვარესავით დაგვნათის თავზე.

ბრწყინავს ახალი ცხოვრების ეშხით  
დიდი პოეტის ყოველი ბწყარი.  
ვინც ხალხს უმღერა მარადი ლექსით,  
ის ხალხთან ერთად უკვდავი არი.

ჩვენო ილია, აღსდევ, იხილე  
ირგვლივ მზისა და ვარდების ფენა.  
როგორ ამადლდა, როგორ ციმციმებს  
ქართული სიტყვა, ქართული ენა.

ამ დღეს ნატრობდი და აი კიდევ  
ქვეყანას ხალხის მარჯვენა მართავს.  
ბაზალეთის ტბის ოქროს აკვნიდან  
ოქროს ჭაბუკმა ამოანათა.

**პახვანზ გორგენაძე**



## ბალ-ბოსტნის ტრაქტორი

დიდი ხანი არ არის, რაც საბჭოთა კონ-  
სტრუქტორებმა ააგეს ბალ-ბოსტნის ტრაქტო-  
რი. ეს ტრაქტორი ძეტად პატარაა და უძირა-  
ლო აგეულებს აქვს. ორ ბორბალს შორის  
ღერძზე ითავსებულია ბენზინით მომუშავე  
ილავა (ძოტორი). ღეოძის ქვემოდან გამოდის  
ორი გრძელი სახელური, რომლებზედაც და-  
მაგრებულია მანქანის სამართავი ბერკეტები.  
სახელურების ქვემოთ სპეციალურ ჩაოჩოზე,  
საჭიოოების თხედვით, ამაგრებენ გუ-  
თასს, ფარცხს და სხვა სასოფლო-სააეურხეო  
იარაღებს. სურათზე თქვენ ხედავთ ჩაოჩოზე  
მიმაგრებულ სათესს. ამ პატარა ტრაქტორს  
შეუძლია ხვნა, ფარცხვა, თოხნა და თესვა.

ტრაქტორი ძრავათი მოძრაობს, მძლოლი  
მხოლოდ მიმართულებას აძლევს მანქანის  
მოძრაობას.

რათ დასჭირდათ ასეთი პატარა ტრაქტორის  
აგება? ნუთუ არ შეიძლება ჩვენი ბაღი და  
ბოსტნები ჩვეულებრივი ტრაქტორით დაე-  
მუშაოთ? საქმეც ის არის, რომ არ შეიძლე-  
ბა. ჩვეულებრივი დიდი ტრაქტორი ბალ-ბოს-  
ტნებში ხომ ყველაფერს გადათელავს და და-  
ლეწავს! ბალ-ბოსტნის ტრაქტორი კი მოხდე-  
ნილად მუშაობს, ერთ ტოტსაც არ დაახია-  
ნებს. ბაღების, ბოსტნების, ვენახების, ჩაის  
პლანტაციების დამუშავებაში ამ ტრაქტორს  
შემნაცვლებელი არ ჰყავს. მისი ბორბლები,  
მცენარეთა კვლების სიგანის მიხედვით, შეგ-  
ვიძლია შესაფერ სიგანეზე დავაყენოთ.

მუშაობის დამთავრების შემდეგ მძლოლი  
ტრაქტორზე მიაბამს ორთვალა ფორანს,  
ფორანზე დაალაგებს იარაღებს და გასწევს  
შინისაკენ.

მაგრამ შინაც მოიძებნება ამ პატარა ტრაქ-  
ტორისათვის სამუშაო. მით შეიძლება მოძ-  
რაობაში მოვიყვანოთ პატარა დინამომანქანე-  
ბი, სანიავებლები, დამხარისხებლები.

ამ შესანიშნავი ტრაქტორის კონსტრუქტო-  
რებს სტალინური პრემია მიენიჭათ.



ადგება, ჩაიცვამს, გამოვა გარეთ,  
 ბავშვივით ჩაირბენს კიბეს,  
 მდუმარე მიდამოს შოაველებს თვალებს,  
 ცისკარიც არა ჩანს კიდევ.  
 აღერხით აზურავს მოაწვანო ჭიშკარს,  
 მხარმარცხნივ გადაჭრის ქუჩას,  
 ხალათის ჯიბეში მასივე ხიისა  
 ტრელტარა ჩაბუხი უჩანს.  
 ბაღისკენ იჩქარის, მიჰკვალავს ყამირს  
 და უცემს ხიამით გული,  
 ზვითეულ ნერგსა და თვითეულ ყვავილს  
 თვალს ავლევს, დაზნარის, უვლის.  
 ყურს უგდებს მოხუცი ფრთოსანთა ღხენას,

თითქოსდა მეორედ იშვა...  
 ხეებიც ჩურჩულთ უწვდიან ხელებს  
 გულთბილი საღამოს ნიშნად.  
 შესცქერას მის ხელში გამოზრდილ ხეხილს,  
 ღაღად რომ დაჰმღერის თავზე,  
 ფოთლებში ეღვარებს სიცოცხლის ეშხა  
 და მშობელს ხალისი აღვზავებს.  
 ნაბიჯიც წყნარი აქვს, ღიალიც წყნარი,  
 პაპური აღერხით სავსე,  
 მხიარულ ბავშვივით უბ-წყენავს თვალი,  
 კეთილი, კეთილი ძალზე.

ოთარ შალამბერიძე



ყ ვ ე ლ ა ზ ე უ რ ი ღ ე ს ი

მსოფლიოში ყველაზე დიდ გამოცემად ითვლება იმპერატორ იუნლოს მიერ გამოცემული სახელგანთქმული ჩინური ენციკლოპედია. იგი 22870 ტომისაგან შედგებოდა. ამ ენციკლოპედიის სარჩევი დაახლოებით 60 ტომს შეიცავდა; ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინური იეროგლიფებით დაწერილ ტექსტს უფრო ნაკლები ადგილი უკავია, ვიდრე რომელიმე ევროპულ ენაზე დაწერილ იმავე ტექსტს.  
 ჩინეთში დიდი ხანია დაწყებული იყო წიგნების ბეჭდვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ენციკლოპედია სამ თუ ოთხ ეგზემპლარად გამოსცეს, იმდენად დიდი იყო იგი. პირველი და მეორე ეგზემპლარი იმპერატორის სასახლის ხანძრის დროს დაიწვა 1644 წელს მანჯურელების მიერ პეკინის აღებისას, უკანასკნელი ეგზემპლარი კი 1900 წელს

დაიღუპა, ეგრეთ წოდებული ბოქსიორების აჯახეების დროს.

მსოფლიოში მოცულობით ყველაზე დიდ პოეტურ ნაწარმოებად ინდოეთის ხალხური ეპიური პოემა „მანაბხარატი“ ითვლება, რომელიც ორი მეფის საგვარეულოს—კაურავებისა და პანდავების — ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს.  
 ეს პოემა 200000 ლექსისაგან შედგება. გამოცემულია პირველი ათასი წლის დასაწყისს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და მთელი რიგი პოეტების ხელოვნების ნაყოფს წარმოადგენს. ნაწყვეტი ამ პოემიდან „ნალი და დამიანტი“ თარგმნილი იყო რუსულად ვ. ჟუკოვსკის მიერ. გასულ წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა „მანაბხარატის“ პირველი წიგნი.

# მშობლიური სკოლის სასახელოდ



წინა გვიკითხავს ამდრინაკიშვილის ხატუროვის მგოსნობა. იგი გახლეჩილი კათოლიკოს ქალაქი და რვის კლასის კონსტანტინე პოლიკარების, ექვტის ბაბუის დიდბრახის. მის უბანდროდ უფროა დედა, ტრბლი, დაჩხა ქართველი. და ვინა მარტო უზიადიანია ცნა ქაბუკი გულად ამბობენ. იგი ჩვენი დედად ამხმობილია ესაღმრთო სუფარავლით. ამ წყად მისთვის იგი ვამბობდეს მისი თვითველი სიტყვა, რთვეტი უზიადიანი უკობივად. ამინაკების მონსტრებას. აღმანა ჩვენი მონახალი, ამით სუნთქვას სათელი განძინობა ნაწერი მათი საკანონიკო ნამუშევრის თვითველი ბრკობის.

საბაბო პოეტის ვ. ტაბისი ველსანამცდელის სიტყვები მშობლიური ჩემი მიწა, მეს სუფიადი ხანდეს ველსა. რის დავიკიდ შენი ტრბლი, შენი მწვერთი ნანეს დავიკიდ. — ამ თქვა, რთვეტი უზიადიანობის დიდმა უბანდროდ ამ ქართველი მათ და დღურავალი გაცოდებეს დადსურავა აჩიანა. მათ შორის იყო თბილისის სტალიის სახლების გვირა I საშუალო სკოლის ხუროთაში მოსწავლედ ვიკრე ამდრინაკიშვილი.

ვიკრე ამდრინაკიშვილი ჩიდა. გამოცდების ცხარე დღეებში რთვეტი სკოლის კარს არ უნდა შეგველი, რთვეტი კლასშიც არ უნდა შევთვინავი, სახადილი ახლაჩრადეს. იმანი ასახლებდენ ამადარ აღზრადებს, მშობლიურ სკოლას, სავყარდ სამშობლს, ვინ მოივლის, რამდენი ხანა ვადილი პავეტო იჩრადეს. ამ III რაშის პიონერ კუდრის თურქებ, მან ჩინებულად ჩაახანა გაცოდე გუგრაფიაში, გამოადანეს ღმას ედანი, რუკაც კარავი ირავინტირების უნაზა ბეჭდის სულსით ცოდნით გახარია აღზრადლები გამოცდები ქაოლად და რისედი ენა და დღურავალირა. ში, აღდევნის. ო. რაბაკი, ო. ჩიქოვანი, ღ. ვიკრეტი, მ. კანდელაკი და მოკლე სხვა მოსწავლედ გამოარჯევია მოტიანა გამოცდების ათობივლით დღევ.

კოლეჯ გამოცდის შეგვეტი გამოარჯევანს უფლიყინენ ერამიერი დედუკაქობს ქალბა. 19-12 საშუალო სკოლის მეორეობედ კლასობივი მათ რთბილს არ დავიწყებდეს. ახლებელის ვ. მისიისთვის დიდი, საღელსაწყლოდ მათი რთბილი სწავლის ატესტატზე პარველი გამოცდის ჩასახარებლად რამ მოიყინენ.

ღმინის რძენისმამა მასწავლებელმა მათი ამასშიმენ ეხანა სავცილოდ პაკეტი და დააჩხა ამობედი დღევ დარქა მათი თუხა. წუთით სწავნარე ჩამოკარად, სამედი თუხა ნაქონია, ამბობილი, რთვეტი მოყანი აჩირონი აჩ, რაზე ფიქრობდენ გავიჩინე ხდე ველამ კალამა აღი სხდეს. წინა დღურავალი სტიკარის ტრკომის ენებობად გრცელ ფრადილზე. მეორეობებუალთა მინახებულად აჩხა ქალად-ზე გადახდა. მისი ვატიანია ფიქვის დღურავალი (დ. მარია) კეთილბედ და დიდი თვებრები, დიდმა ყანჩივლი და ნ.წა

ახალიაპ. ჩანს, აჩრდელი თუბა დღმად სწავლეს მათ გულში. იმანი წერენ მთეპირიებით, ეცემის მთხედობი, ქარველი ხაბის ვიარდი ქარხნულზე, საბუთია პატრონიმის ცნობილთხედილ ქარხაზე, დიდი ოქტობისის მონიპოკარზე, სავყარდ მწერებულზე. ქაოლად ენის საქონლის დღურავალი, მზადობისთვის ბრძოლაზე. უფედლივი ეთ დედეს, ხო და ველთა სიღრმედ სწავნად მიორ ატკობის, ატკობულ სხე ნათელი და გულწრფელი მათი ნაწერები, რამბედიც უნდა დღევ შეესახებ დამახარებს.

მაგალი აკადემიური მისწავლებელი მოიხივენ გავიჩინე. მა ზეზარ გამოცდებ ქაოლად ენა და დღურავალირაში, მათგინაკოტონ და სხვა ხანებში.

მეორეობებუალთებია არ ჩამორბებიან უმრისი ასაკის გვიკრინეს. თბილისის ქალბა რთბილს მწერად საშუალო სკოლის (დარეტიკოთი ს. მარინილაფი) VII კლასის მოსწავლედმა შესანიშნავად შეესაბუნა წერითი საკანონიკო საშუალო ადგილბაში. განაკურბებენ დიდა ვარჯები მათობივი გაციკაზე გვიკრინაში. ხანადად ჩამინდა გოგონებისა და საქართველი სხრ დამსწრელები მასწავლებელის ბ. ბრემბის ნავადიერი შრომის მეშვენი. 38 მთხედებლან 21-მა ხუთიანა მიღლი დანარჩენებმა კი რთბილს მოიწეს. იამ. მეჰ წარსდგენ იახით ფრეზოსი სავცილოდ კომიხის წინაშე. აღდღებულად იღებდენ მიღივებია ვ. ხამად, ლ. ხეჭერი, დ. დღურავალი, ვ. ბერბეტი, ზ. მეუფილო, ტ. ვიკ-

რადი. ვახრებულად განმარტებდენ გვიკრინე იხეთ საქათობა, რთბილიცა ხობებია, წივი, აჩივიდია ეჩინია. ზუსტად ასრულდენენ იმანი პრაციკულ საბუთოს, იტბატრუბა შემოხებდენ ხელსაწყო აჩიავებს.

მოიფრეზად მიღლიდენ გამოცდების ყველაზე პატარები, იმანი, რთველიც პარველად უნდა დღურავალი საკანონიკო საბუთო და აქელი საკანონიკობილი. თორი წინახრობია და ეახებდენ კიბების გამოჩინობილი ვიკრინე მწერობა ნახუთი შევიდენ 21 მათს სახალისი ითახებში. თბილისის ქალბა მე-2 საშუალო სკოლის თეობე კლასის სამეჰ მწერლთა მოსწავლედმა. წერითი გამოცდებ ჩამოხარს ქართველი ენა და დღურავალირაში. თუახ აჩივიდის ვიკრინების ფრეზო, კვიახობი ნამუსეგარი. მეთიბუალთებია ურთავლუბობის ამ დღეებ პრევილი ხეობაქბე დავურებს, იოხანი აჩივიდის მიღლიც. პატარებია განმარტებებენ მათივებულ წარმოდებებს.

ამ სკოლის მოსწავლეებია წელს მწვენიერი სანქციარი მიღლებ—მათ ახალ შენაშობი დავურეს საწყალი წელს. ა. ამ ურთბის ერთ-ერთი ნათელი და კეთილმოყვითობი ითახია. აქ სწავლებისმტვერების კათებიცა. გამოცდებ ბოტანიკა მამდინბარბოს, მგვილი გვიკრინე ერამილის ცვლიან, ხუთიანები იწერენ საკანონიკო ფურცლებში. მეცხრებუალთა ლეხობივით ვე პარველი გამოარჯევია იყო. შევიდეს დღევსში მათ მოკლედურე კები დამახარებს.


კოლეჯ დღეს ახალი სახარული მოსწავლე ვიკრინე მე-19 საშუალო სკოლის მოსწავლედებისთვისაც, გამოცდებისმდე რამდენიმე დღით ადრე სკოლა დასრულდება. ლ. კეთილბედი ერთად კიდევე მწერია მეორეობებუალი სკოლის. მოსწავლის ნათელი მინახეს ვახტონისებნან ქაოლად იხეთი მასქამც წივიდილი თებლებში რაღვ ახალ ნაქამცულ 38 მთხედბელი ვიკრინე მოსწავლედმა იხეთ სკოლაში ვიკრინე მოსწავლედები.

ერთობე კიდევე ჩაუვრედილი იქვანს მოხალის, განსახლებერი—ათი ვახტონი მწერ, ათი მოგურადიბი ხამ-წილი.


და ვიკრინების გადურავებია მიღლი ფრეზიკის სხე-ციალიან, სკოლაში იგი ხამის დრის ფრეზიკის კანონები აჩრებდა, საქთარი ხელთ აკეთებად აჩივალ ხელახარვის. და გოგონების მტაკიდე აქვს გადურავილი მოსკოვის ლანონივითი სახლების ფრეზიკისებნან ფრადიბეტილ შესად. და წლებს ხურს მწვენიერი გახევი, ს. ჩამაკოშვილის—ეკსმა.

ჩაქურავად პერსპექტივები, ღმანში მოხალისა პომერელი ოპიკანისთვის ახლადად ამ პრეტებს წინ. ხანამდვილად იჩივია მათი ვახტონი ოცნებები.

წ. ალსანიშვილი



სტალინის სახლების ვიკრინე I საშუალო სკოლა, მე-19 კლასის მოსწავლედები აჩრებენ გამოცდის გვიკრინე. პასიბის ხუთიანა მოსწავლე კ. ბრემბეტი.





# კეთილი მებაღე

ადგება, ჩაიცვამს, გამოვა გარეთ,  
ბავშვით ჩაირბენს კბებს,  
მდუმარე მიდამოს შოაღლებს თვალებს,  
ცისკარიც არა ჩანს კიდეც.  
აღერხით შობურავს მოაწვანო ჭიშკა-ის,  
მხარმარცხნივ გადაჭრის ქუჩას,  
ხალათის ჯიბეში მიხივე ხიხია  
ჭრელტარა ჩაბუხი უჩანა.  
ბალახენ იჩქარის, მიჰკვალავს ყამირს  
და უცემს ხიამით გული,  
თვითეულ ნერგსა და თვითეულ ყვავილს  
თვალს ავლევს, დაჰხარის, უვლის.  
ყურს უგდებს მოხუცი ფრთოსანთა ღხენას,

თითქმის მეროდ იშვა...  
ხეებიც ჩურჩულით უწვდიან ხელებს  
გულთბილი ხალამის ნიშნად.  
შესტკერის მის ხელში გამოზრდილ ხეხილს,  
დალად რომ დაჰმღერის თავზე,  
ფოთლებში ეღვარებს სიცოცხლის ეშხი  
და მშობელს ხალისი ადგზიებს.  
ნაბიჯიც წუნარი აქვს, ღიჯილიც წუნარი,  
პაპური აღერხით ხავსე,  
მხიარულ ბავშვით უბ-წყინავს თვალი,  
კეთილი, კეთილი ძალზე.

ოთარ შალაგერიძე



## ყ ვ ე ღ ა ზ ე უ ღ ი ღ ე ს ი

მსოფლიოში ყველაზე დიდ გამოცემად ითვლება იმპერატორ იუნლოს მიერ გამოცემული სახელგანთქმული ჩინური ენციკლოპედია. იგი 22870 ტომისაგან შედგებოდა. ამ ენციკლოპედიის სარჩევი დაახლოებით 60 ტომს შეიცავდა; ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინური იეროგლიფებით დაწერილ ტექსტს უფრო ნაკლები ადგილი უკავია, ვიდრე რომელიმე ევროპულ ენაზე დაწერილ იმავე ტექსტს.

ჩინეთში დიდი ხანია დაწყებული იყო წიგნების ბეჭდვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ენციკლოპედია სამ თუ ოთხ ეგზემპლარად გამოსცეს, იმდენად დიდი იყო იგი. პირველი და მეორე ეგზემპლარი იმპერატორის სასახლის ხანძრის დროს დაიწვა 1644 წელს მანჯურიელების მიერ პეკინის აღებისას, უკანასკნელი ეგზემპლარი კი 1900 წელს

დაიღუპა, ეგრეთ წოდებული ბოქსიორების აჯახყების დროს.

\* \* \*

მსოფლიოში მოცულობით ყველაზე დიდ პოეტურ ნაწარმოებად ინდოეთის ხალხური ეპიური პოემა „მანახარატი“ ითვლება, რომელიც ორი მეფის საგვარეულოს—კაურავებისა და პანდავების — ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს.

ეს პოემა 200000 ლექსისაგან შედგება. გამოცემულია პირველი ათასი წლის დასაწყისის ჩვენს წელთაღრიცხვამდე და მთელი რიგი პოეტების ხელოვნების ნაყოფს წარმოადგენს. ნაწყვეტი ამ პოემიდან „ნალი და დამანიტი“ თარგმნილი იყო რუსულად ვ. ჟუკოვსკის მიერ. გასულ წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა „მანახარატის“ პირველი წიგნი.

# ეკატერინე გაბაშვილი

დაბადებიდან 100 წლის თავის გამო



ეკატერინე გაბაშვილი პირველი ბრწყინვალე ბელეტრისტი ქართველი ქალია, რომლის შემოქმედების ნიმუშებმა სამწერლო ასპარეზზე ავტორის გამოჩენისთანავე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება. მისი ცნობილი ნაწარმოები „რომანი დიღჩევაში“ პირველად თავის ყურნალ „ივერიაში“ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძემ.

1851 წლის 28 ივნისს (ახ. სტ.) ქ. გორის სასამართლოს წევრ თავად რევაზ თარხნიშვილის დიდ ოჯახს ახალი წევრი შეემატა ქალის სახით. ახალდაადებულს ეკატერინე დაარქვეს.

პატარა კატო 5 წლისა ხყო, როცა დაობლდა. მისი აღზრდა ბებია ბარბარემ იყისრა. მას პატარა შვილიშვილი ოჯახის შესაფერ ფუფუნებაში არ ჰყავდა. პირიქით, პატარა კატომ მთელი რვა წელიწადი სოფლად, გლეხის ბავშვებთან გაატარა, რამაც წარუშლელი გავლენა მოახდინა მასზე და გახდა ის „სოფლის მეგობრად“, მშრომელი გლეხობის მოყვარულ ხალხოსან მწერლად.

რვა წლის ეკატერინე მამამ თბილისში წაიყვანა და გერძახელების სკოლაში მიიბარა, შემდეგ ამბარდნოვის კერძო პანსიონში გადაიყვანა. ბოლოს ეკატერინე მიიბარეს იმ დროისათვის თბილისში ცნობილ ქალბატონ ფავრის პანსიონში, სადაც ქართველ მსმენელთათვის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები ტარდებოდა. ეს „მადამ ფავრი“ უფროსი ქალი იყო ცნობილი მეზღვე იაკობ მარისა, რომელიც გურიის (სოფელ დაბლა-ციხეს) ესახლა. მის შვილებს ქართული აღზრდა ქოხდათ მიღებული და მოწინავე ქართველებთანაც დაახლოებული იყვნენ. ამ პანსიონში, გარდა რუსი პედაგოგებისა, ასწავლიდნენ ისეთი ცნობილი ქართველი პედაგოგები, როგორც იყვნენ ალექსანდრე ცაგარელი (შემდეგ პროფესორი), ნ. დედაბრიშვილი. ნ. ინაშვილი და სხვ. როგორც პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი გადმოგვცემს, ამ პანსიონში შესანიშნავი ყურადღება ექცეოდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლე-

ბას. ამ ჩვენერგა მომავალ მწერალს ინტერესი და სიყვარული მშობლიური ლიტერატურისადმი.

1868 წელს, აღნიშნულ პანსიონში სწავლის დასრულებისთანავე, ეკატერინე თარხნიშვილი იწყებს მასწავლებლობას მშობლიურ ენაზე გორში. ახალგაზრდა კატოს იდეალიც ეს იყო — ხალხში გასვლა, ხალხის სამსახური. მოთხოვნაში „სოფლის მასწავლებელი“ ძალიან სწრაფად გამოაყვანა ეს მისწრაფება.

ეკატერინე გაბაშვილის (გაბაშვილი ქმრის გვაიის) პირველი იოთხრობა „გლეხი კაცი აზრი სასოფლო სკოლაზე“ 1870 წელს დაბეჭდა გაზეთ „დროებაში. ამ ნაწარმოებით ეკატერინე გაბაშვილმა, როგორც მწერალმა, მასწავლებელმა და საზოგადო მოღვაწემ, შეაფიქრებინა გამოაქვინა თავისი დამოკიდებულება მეტაფიზიკურ-თავადაზნაურული წრეებისადმი, როგორც მაშინდელი მთავარი ექსპლოატატორებისადმი, და გამოესარჩლა ჩაგრულ-გაღატაკებულ ფენებს; თავისი მახვილი კალამი მას გაატონებოდა წოდების აღვირახსნილობით გამოწვეული უკუღმართობისა და სიღუბნის წინააღმდეგ ძიშართა.

ეკატერინე გაბაშვილის ყოველი მოთხოვნა მშრომელი ხალხისადმი სიყვარულით და თანაგრძნობით არის გაყენებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკატერინე გაბაშვილი, როგორც მწერალი, თავისი წარმომოხი თავადაზნაურული წოდების თვალსაზრისზე ერთი წუთითაც არ მდგარა. მისმა მშვენიერმა მოთხოვნამ „კონამ“, რომელიც 1881 წ. ყურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა, ახალგაზრდა ბელეტრისტ ქალს საკმაო პოპულარობა მოუხვეჭა. ამ ხანებიდან მოკიდებული, საქართველოში არ ყოფილა ისეთი პერიოდული გამოცემა ქართულ ენაზე, რომელშიც ეკატერინეს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს.

იაკობ გოგებაშვილის სახილწანთქმული სახელმძღვანელოს „ბუნების კარის“ დამამშვენებელი მოთხოვნების „მაგდანას ლურ-



ჯას“, „ჩვენი კაკლის ხის“, „ღვინია გადაი-  
ჩეხას“ და სხვათა ავტორი მეტად საყვარე-  
ლი და ცნობილი მწერალი გახდა მთელს  
საქართველოში.

მწერალი ქალის ნაწარმოებებით დამშვენ-  
ებულია საბჭოთა სკოლის სახელმძღვანე-  
ლოები.

ეკატერინე გაბაშვილი გულთბილად შეხ-  
ვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლე-  
ბის დამყარებას. ღრმა მოხუცებულობის  
მიუხედავად, მას კალამი სიკვდილამდე არ  
გაუგდია ხელიდან. ხალისითა და სიყვარუ-  
ლით განაგრძობდა მოთხრობებისა და მო-  
გონებების წერას და გამოქვეყნებას ჩვენს  
პერიოდულ პრესაში და განსაკუთრებით  
საბავშვო ჟურნალებში.

ეკატერინე გაბაშვილის ნაწარმოებთა-  
გან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „რომანი

დიდხევაში“, „კონა“, „სოფლის მასწავლე-  
ბელი“, „მეურმის ფიქრები“, „სხვადასხვა  
ქორწილი“, „ორენა და ქუჩე“, „ღვინია გა-  
დაიჩეხა“, „სოფლის მეევანშენი“, „სოფლის  
მეგობარი“, „გამარჯვებული ნიკო“ და სხვ.  
ამ სათაურებიდანაც აშკარად ჩანს მწერლის  
თემატიკა, მისი მასალა და მიზანი. სოფელი,  
მისი ყოფაცხოვრება და მაშინდელი გლეხო-  
ბის დუხჭირი მდგომარეობა იყო ეკატერინე  
გაბაშვილის პროზის უმთავრესი საგანი,  
ჯანსაღ, რეალისტურ ფერებში დახატული  
და გადმოცემული.

ეკატერინე გაბაშვილი გარდაიცვალა 87  
წლის ასაკში, 1938 წლის 7 აგვისტოს. დაკ-  
რძალულია თბილისში, ქართველ მოღვაწეთა  
ვაკის ახალ პანთეონში.

ს. ხაიშვილი



## შ ე ნ ი ტ კ ბ ი ლ ი „ღ ე დ ა - ე ნ ა“

ი. გოგებაშვილს



როგორც მთიდან მორაკრაკე ნაკადული,  
მოგონებით დღესაც მმატებს აღმაფრენას  
ქართულ წიგნზე მიწხიდველად დაქარგული  
„ღედა-ენა“, შენი ტკბილი „ღედა-ენა“.

გრძნობა მითბობს სიხარულის წმინდა კურცხალს,  
მიხარია, რომ ბავშვური შთავგონებით  
განმიცდია ყაყაჩოდ და ვარდის ფურცლად  
შენი წიგნის ფერუცვლელი სტრიქონები.

შენ არ იცი, რა დღეებმა განვლეს განა,  
რა გრიგალმა გაიქროლა ქართლის ცაზე,  
მსოფლიოში რა ძლიერად გაიტანა  
ქართლის შვილმა შენი ქვეყნის სილამაზე.

მასაც შენი სტრიქონების სილაქვარდე  
ხალხისათვის თავდაცებას ასწავლიდა.  
დღეს ის გმირი, ყველა ხალხის სიამაყე,  
მზედ დანათის მთელ მსოფლიოს კრემლის ციდან.

როგორც მთიდან მორაკრაკე ნაკადული,  
მოგონებით დღესაც მმატებს აღმაფრენას  
ქართულ წიგნზე მიმხიდველად დაქარგული  
„ღედა-ენა“, შენი ტკბილი „ღედა-ენა“.

ინოლა გუჩუაძე



# ფრანგი ბიჭის ისტორია

მხატვარი შ. ცხადაძე

ფრანგი ახალგაზრდობის გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორი ლუი გორენი როდესაც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, აქ მან პიონერმოსწავლეებს მოუთხრო, თუ რა ცუდ პირობებში ცხოვრობენ ბავშვები საფრანგეთში. ამის ნათელსაყოფად აი რა უამბო საბჭოთა ბავშვებს ლუი გორენმა.

თქვენ რომ უკეთ წარმოიდგინოთ, როგორ ცხოვრობენ ჩვენი ბავშვები, მე მოგიტხრობთ ერთი პატარა ფრანგი ბიჭის ისტორიას.

ლუსენი (ასე ეძახდნენ ამ ბიჭს) დაიბადა პატარა სოფელში, ქალაქ ბორდოს ახლოს. მისი მშობლები ღარიბი გლეხები იყვნენ, დიდიდან დადამებამდე მინდორში მუშაობდნენ და ძლივძლივობით გაჰქონდათ თავი.

პატარა ლუსენი თავის ტოლ ბავშვებთან ერთად დაბოდა ტალახთან ქოჩიბსა და მინდორებში. როდესაც ცოკათი წამოიზარდა, ძროხების მწყემსვა დაიწყო. ექვსი წლის რომ გახდა, დედამ სკოლაში მიაბარა. სკოლა კი დიდ სოფელში იყო, ლუსენის სოფელზე რამდენიმე კილომეტრით დაშორებული.

ყოველდღე დილით ადრე მიდიოდა ლუსენი სკოლისაკენ. გაკრთილები რვა საათზე იწყებოდა და საღამომდე გრძელდებოდა. ხუთშაბათობითა და კვირაობით ლუსენი სკოლაში არ დადიოდა: ამ დღეებში იგი შინ ეხმარებოდა მშობლებს, ანდა ძროხებს მწყემსავდა მინდვრად.

ხშირად ლუსენსაც მიუღია მონაწილეობა ასეთი სახის გართობაში: ბავშვები ბრძოლას აუტოხენ მეზობელ სოფლის ბავშვებს, რასაც თან სდევს ცემა-ტყემა. ლუსენისთვისაც დიდი მოაღენა იყო სოფლად სალოწი მანქანის გამოჩენა... აი გართობის სახეები ფრანგულ სოფელში მცხოვრები ბავშვებისა.

ფრანგ ბავშვებს წარმოადგენა არა აქეთ კოლიჩტიურ გასეირნებაზე, პიონერთა კლუბებზე, დრამატულ წრეებზე, ნატურალისტთა წრეებზე, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებზე.

მხოლოდ ერთხელ წაიყვანა ლუსენი დედამ კინოში, იმის აღსანიშნავად, რომ ბავშვი წარმატებით სწავლობდა სკოლაში.

ლუსენი ნიჭიერი მოსწავლე იყო. ძლიერ უყვარდა სკოლა, გატაცებით კითხულობდა წიგნებს. მინდვრად, ძროხების მწყემსკის დროსაც, ხელში ეჭირა წიგნი. მამა ხშირ-ხშირად ლანძღავდა შვილს ასეთი გატაცებისათვის, რადგან წიგნებში მოთხრობილი გმირების თავგადასავლებით გატაცებულ ბიჭს ძროხები ავიწყდებოდა და თავის ნებაზე მიუშვებდა მათ.

ბოლოს ლუსენმა დაამთავრა სკოლა. შინ დღესასწაულობდნენ ამ შემთხვევას. მაგრამ... ამის შემდეგაც ლუსენი ძროხების მწყემსად დარჩა.

ერთხელ ლუსენის მამასთან მივიდა მასწავლებელი და უთხრა:

— თქვენი ვაჟი მეტად ნიჭიერია. მან სწავლა უნდა განაგრძოს. შეუწყვეთ ხელი. დადგება დრო და თქვენი შვილით იამაყებით.

რამდენიმე დღის შემდეგ მამამ ლუსენს დაუძახა და ჩუმიად წავიდნენ მინდვრისაკენ.

— მე ვწუხვარ, ჩემო შვილო, — უთხრა ბოლოს მამამ. — შენ კარგად მუშაობ... მასწავლებელმა კი თქვა, რომ საჭიროა სწავლა განაგრძო. მაგრამ თვითონ იცი, ჩვენ არა ვართ მდიდრები. შენ გაყავს ორი პატარა ძმა. მათაც ხომ აღზრდა ესაჭიროებათ! სწავლისათვის ფულის გადახდა მე არ შემიძლია.

მამას ცრემლის ორი კურცხალი დაეკიდა უღვაწზე. ლუსენი პირველად ხედავდა, რო-



გორ ტიროდა იგი. ამ დროს მამამ ხელი დაავლო შვილს მხარზე.

— შენ დაგრჩა ორი გზა, შვილო. ან დარჩი შინ და ერთად ვიმუშაოთ მინდვრად, ან რამე ხელობა ისწავლე. აჩქარებით ნუ გადაწყვეტ. კარგად დაფიქრდი.

მამა წავიდა სამუშაოდ.

დაფიქრებული ლუსენი შინისაკენ გამობრუნდა. დიდხანს ფიქრობდა. არა, მას არ სურს გლეხად დარჩენა. უნდა მამის მსგავსად ჩიჩქნოს ერთი ბეწო მიწის ნაჭერი და მუდამ ნახევრად მშვიერი იყოს. უკეთესია მჭედელი გახდეს. შედარებით კარგი პროფესიაა. ნამდვილი მუშა იქნება, კარგად ეცოდინება თავისი საქმე და ყველას პატივისცემას დაიმსახურებს.

რასაკვირველია, ლუსენს არ შეეძლო ეოცნება სახელოსნო სასწავლებელზე. ასეთი სასწავლებლები მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაშია, საბჭოთა ბავშვებისათვის.

ლუსენმა დაიწყო მუშაობა შეძლებულ მჭედელთან. ამ დროს იგი თერთმეტი წლისა იყო, თავის ასაკთან შედარებით მაღალი, მაგრამ არა საკმაოდ ძლიერი. სამუშაო კი შეტად მძიმე იყო. მთელი დღე ლუსენს უხდებოდა დაეჭირა უზარმაზარი მუშა ცხენის ფეხი და ამავე დროს, როგორც მჭედელს, დაეჭედა. უხდებოდა გრდემლზე მძიმე უროს ცემა. ბიჭი ძლიერ იღლებოდა. მუშაობდა ათ-თორმეტ საათს. დასვენებაზე არც კი ოცნებობდა. სამჭედლოში მუშაობის შემდეგ ლუსენს უნდა დაეგავა და მოერწყო მჭედლის ბადი, გაეწმინდა ავტომობილი. ყველა-

ფერი ეს უფასოდ უნდა გაეკეთებინა: ჯერ შეგირდი ხარო, — ეუბნებოდნენ. **ქართველთა მწიგნობართა კავშირი** საბრალო იყო ლუსენი. მაგრამ ამას ვერ უწუწუნებდა, არ ჩიოდა. ძლიერ ამაყი ბიჭი იყო. არასოდეს მამას არ ეტყოდა, მძიმე პირობებში რომ უხდებოდა მუშაობა.

ასე განვლო სამმა წელმა. მაგრამ ერთხელ ლუსენმა თავი ვერ შეიკავა, მძულხარო, — უთხრა მჭედელს და გაიქცა მისგან.

ლუსენმა მანობელი სოფლები მოიარა და როცა სამუშაო იშოვა, მხოლოდ მაშინ დაბრუნდა შინ. ახლა კი ყველაფერი უამბო მამას, რაც თავს გადახდა.

ასე დარჩა ნიჭიერი ფრანგი ბიჭი უსწავლელ მუშად.

... ისტორია, რომელიც თქვენ გიამბეთ, ომის წინა წლებს ეკუთვნის. მის შემდეგ უბრალო ფრანგი ადამიანების ბავშვების ცხოვრება არ შეცვლილა. ჭაბუკი ლუსენი ახლა თვითონ არის მამა. ლუსენისა და მისი ამხანაგების გადაწყვეტილებათა, რომ მათმა შვილებმა მეგობრულად იცხოვრონ. ლუსენს და მის ამხანაგებს შეგნებული აქვთ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ფული ბატონობს, ღარიბებისათვის ყველა გზა დაკეტილია, რაგინდ ბრწყინვალე ნიჭის პატრონი იყვნენ ისინი. ლუსენი და მისი ამხანაგები შეუბოვრად იბრძვიან იმისათვის, რომ უბრალო ადამიანების ცხოვრება შეიცვალოს საფრანგეთში, რომ მათმა შვილებმა მიიღონ ის, რაც საბჭოთა ბავშვებს გაქვთ: უფლება თავიანთი ნიჭის თავისუფალი განვითარებისა, უფლება დაუბრკოლებელი სწავლისა, უფლება საყვარელი პროფესიის არჩევისა.







# ოქროს სურბა

ალმოსავლური  
ზღაპარი

მხატვარი ა. ბალაზუშვი

ცხოვრობდა ქვეყნად ერთი მზაკვარი და მკაცრი მეფე. არავის ახსოვდა, რომ იგი ვინმეს აღამიანურად მოპყრობოდა, არ ყოფილა კაცი, რომ იგი მას შებრალებოდა. ყველას, დიდსა და პატარას, მეფის ეშინოდა. დილიდან საღამომდე იჯდა მეფე თავის სასახლეში და სულ სარკეში იცქირებოდა. შეამჩნევდა თუ არა თმაში ჭალარას, მაშინვე შეიღებოდა; შეამჩნევდა თუ არა სახეზე ნაოქს, მაშინვე ხელით მის გასწორებას შეუდგებოდა.

„მე არ უნდა მოვხუცდე, — ამბობდა თავის გულში მეფე, — ახლა ჩემი ყველას ეშინია, ვერაინ ჩემს უნებურს ვერ ბედავს; ხოლო თუ მოვხუცდი და დავუძლორდი, ხაოხი ჩემს მორჩილებასზე ხელს აიღებს; მაშინ როგორ მოვუვლი მე ჩემს საბრძანებელს?!“

და რომ არასოდეს არ ეფიქრა სიბერეზე, ბრძანა დაეხოცათ მის საბრძანებელში ყველა მოხუცი. როგორც კი ვინმეს ჭალარა თმას შეუხვევრცხლავდა, მისი აღსასრულის დღეც დადებოდა. მეფის მცაველები მას მაშინვე შეიპყრობდნენ, გაიყვანდნენ მოედანზე და იქ ჯალათები ცულით თავს წაადგებინებდნენ.

სახელმწიფოს ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ მეფესთან ქალები და ბაიშები, ყმაწვილები და ჩალიშვილები, მოჰქონდათ უხვი ძოვანი და მწარე (არემლობით ევედრებოდნენ მეფეს შეეწყნარებინა მათი მოხუცი მძობლები, მათი მოხუცი ქმრები და ბიძები.

მოსწყინდა მეფეს ყოველდღე დაუსრულებელი ხვეწნა-მუდარის მოსმენა. მოუხმო თავის შიკრიკებს და უბრძანა ეუწყებინათ ხალხისათვის მეფის „მოწყალება“ და ნებასურვილი ყოველს მოეძანსა და გზაჯვარედინზე. შიკრიკები შესხდნენ ცხენებზე და გაემგზავრნენ სხვადასხვა მხარეს. ყოველ გზაჯვარედინსა და მოედანზე ბუკისა და ნალარის ხმაზე აუწყებდნენ ხალხს:

„ისმინეთ, ისმინეთ, ხალხნო, მეფის მოწყალება: ვინც მეფის ტბის ფსკერიდან ოქროს სურას ამოიღებს, ის თავის მოხუც მამას სიკვდილისაგან იხსნის, ოქროს სურას კი ჯილდოდ მიიღებს; მაგრამ ვინც სურას ვერ ამოიღებს ტბიდან, ის ვერც მამას იხსნის და თავსაც წააგებს.“

შიკრიკებმა ნახევარი სახელმწიფოს შემოვლაც ვერ მოასწრეს, რომ მეფის ტბასთან უამრავი თაღაღებოლი ახალგაზრდა მოგროვდა, რომელთაც სურდათ ტბიდან ოქროს სურა ამოიღოთ და საყარელი მამა სიკვდილისაგან ეხსნათ. ტბის ნაპირი კორდიანი იყო. მაოლიდან წმინთა, გამჭირვალე ტბის წყალში ნათლად მოჩანდა მშობიერი წარიღყელიანი ოქროს სურა, ნაყმიანი (სახეობიანი) ჩუქურთმებითა და მოღუწოოი ხილით.

აი, გაივია ოთხმოცდაცხრამეტი დღე. ოთხმოცდაცხრამეტმა თავდადებულმა ვაჟ-ვაჟმა სკაოთა თაიისი ბედი; ოთხმოცდაცხრამეტ ვაჟიც მოჰქონდა თავი ბოროტმა მიფიქმ, ვინაიდან ვერც ერთმა მათგანმა ვერ ამოიღო ტბიდან ოქროს სურა, თითქოს რა-

ლაც ჯადომ მიაკრა ის ტბის ფსკერზე. საკვირველება იყო: ყველა ხედავდა წყალში სურას, მაგრამ ტბაში ვერავინ პოულობდა.

იმ დროს იმ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა მწყემსი ასკერი. ძლიერ უყვარდა ასკერს თავისი მამა. როდესაც შეამჩნია, რომ მამას სიბერე დაეტყო, სახეზე ნაოჭები გამოაჩნდა და თმა გაუჭაღარავდა, ასკერმა იგი შორს მთებში, ყოფი ხეობაში გადაამალა, ააშენა იქ ქოხი და შიგ დაასახლა. ყოველდღე, როცა მზე მთებს მოეფარებოდა, ასკერი ჩუმად მივიდოდა ხეობაში და მამას საზრდოს მიუტანდა. დასხდებოდნენ მამა და შვილი და ცხოვრების ავ-კარგზე საუბრობდნენ. ცხოვრების სიბრძნით დატვირთული და გამოცდილებით გამდიდრებული მამა შვილს ქვეყნის ჭირსა და ღვინის აცნობდა, აყვარებდა სიმართლეს და სიყვითეს, აძულებდა ბოროტებას და ხალხისათვის თავდადებას ასწავლიდა. შვილი სულგანახული უსმენდა მამას და მის სიტყვებს გულში იბეჭდავდა. მას გულს უკლავდა ბოროტი მეფის აღვირახსნილობა და ხალხის ტანჯვა. სულ ხალხს ბედზე ფიქრობდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ ეხსნა იგი განსაკვირვებლად.

ერთ დღეს ასკერი მივიდა მამასთან ხეობაში, მიუტანა სასმელ-საჭმელი, დაჯდა მამის გვერდით და მწარე ფიქრებს მიეცა.

—რა დარდი გაწევს, შვილო ჩემო, გულზე? — ჰკითხა მოხუცმა შვილს, — იქნება მოგეწყინა ყოველდღე აქ სიარული?

— არა, მამა, — უპასუხა შვილმა, — იღონდ შენ გხედავდე ჯანმრთელსა და კარგად მყოფს და მე თუგინდ დღეში სამჯერ გად-

მოვლახავ ამ მთებს და გინახულე, მე სულ სხვა დარდი მაწევს გულზე: ვერც დღეს, ვერც ღამე ვერ მომიშორებია ფიქრი მეფის ოქროს სურახზე; რამდენს არ ვფიქრობ, მაგრამ ვერ მივხვდარვარ, თუ ეს როგორ არის: ნაპირიდან ტბის გამჭვივრავი წყალში ოქროს სურა ისე ნათლად მოჩანს, რომ გგონია: აი, გადავწვდები და ხელით ამოვიღებო, მაგრამ ჩავა თუ არა ტბაში ვინმე სურის ამოსაღებად, სურა თითქოს ტბის ფსკერში გაძვრა, სადღაც გაქრება; ჯალათ მეფეს ხალხის დასაოლუპავად უთუოდ რაღაც ოინი მოუგონია.

— მითხარი, შვილო, — თქვა ბოლოს მოხუცმა, — ტბის ნაპირას, იმ ადგილას, საიდანაც სურა მოჩანს, რაიმე ხე ხომ არ დგას?

— კი, მამაჩემო, — მიუგო ასკერმა, — ნაპირზე დგას დიდი, ტოტებგამოილი ხე.

— აბა, კარგად გაიხსენე, — ისევ ჰკითხა მოხუცმა, — ხის ჩრდილქვეშ ხომ არ ჩანს სურა?

— დიახ, მამა, სწორედ ხის ჩრდილქვეშ დგას ტბაში ოქროს სურა.

— მაშ, მისმინე, შვილო ჩემო, და კარგად დაიხსოვი, რაც გითხრა, — თქვა მოხუცმა: — ადი იმ ხეზე და მის ტოტებში იპოვი მეფის ოქროს სურას; ის სურა კი, რომელიც წყალში ჩანს, მისი ანარეკლია.

ქარიგით გაქანა ასკერი მეფისაკენ.

— მოწყალეო ხელმწიფე, — მიმართა ასკერმა აღელვებით მეფეს, — თქვენს სურას მე ამოვიღებ წყლიდან.

მეფის გაეცინა:

— მხოლოდ შენი თავი აკლია ასის შესრულებას: ოთხმოცდაცხრამეტს უკვე მოვკვეთე თავი, შენ მეასე იქნები!



ასკერმა ძლიერად მოქნეული სურა შიგ შუბლში ხეთა მეფეს.

— შეიძლება ასეც მოხდის და შეიძლება არც მოხდეს ასე, — უპასუხა მამამ. — მაგრამ ვშიშობ, მეფე, ამ ღირად ანგარიში არ შეგეშალოს!

— კეთილი! სცადე ბედი, — უთხრა მეფემ და უბრძანა ჯალათებს ცოლი კარგად გაეღოსათ, რადგანაღ ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მის მზაკრობას ვერავინ გამოამქლავნიდა.

ჰკაბოკი გაემართა ტბის ნაპირისაკენ და წარკვი დაფიქრებულა, მაშინვე ავიდა იმ ხე-

ზე, რომელიც ზედ ტბის პირას იდგა და ტბაში ოქროს სურას გადაჰყურებდა.

— ალაპ, შეიბრაღე საცოდავი! — დაიგმინა ნაპირას შეგროვილმა ხალხმა.

— ჩანს, შიშით ჰკუაზე შეშლილა! — ამბობდნენ ზოგიერთები.

— იქნებ ხიდან წყალში უნდა ჩახტეს? — ფიქრობდნენ სხვები.

ჭაბუკმა ამასობაში ხის ტოტებში იპოვა ოქროს სურა, წვრილყელიანი, ნაყშიანი ჩუქურთმითა და მოხრილი ხელით; სურა ხეზე ფსკერით ეკიდა, რომ მისი ანარეკლი წყალში ზედა ნაწილით, ყელით გამოჩენილიყო.

ჩამოიღო ასკერმა სურა ხიდან და მეფეს მიართვა. ხალხში ყრუ გმინვა გაისმა.

მეფეს საშინლად ეწყინა, მისი მზაკვრობა რომ გამოჰქადაგდა, მაგრამ არ შეიმჩნია, გაუკვირდა ძლიერ და ესლა თქვა:

— მართალი ვითხრა, არ მოველოდი შენგან ასეთ მოსაზრებულობას, — ნუთუ მართლა შენ მოიფიქრე, როგორ გეპოვა ოქროს სურა?

— არა, მეფეო, — მიუგო ასკერმა, — მე მყავს მოხუცი მამა, რომელიც თქვენს „მოწყალე“ თვალს გადავუმაღე შორს, მთებში. მან მოისაზრა, თუ სად იქნებოდა დამალული ოქროს სურა; მე მხოლოდ მისი რჩევა-დარიგება შევასრულე.

— მეფის სიტყვა კანონია! — თქვა მეფემ, — შევიწყნარებ შენს მოხუც მამას, სიცოცხლეს ვაჩუქებ, ხოლო შენ ოქროს სურას მიიღებ ჯილდოდ.

ასკერმა აიმაღლა ხმა და მეფეს რისხვით მოახსენა:

— არა, მეფეო, მე არ მინდა ოქროს სურა, ის ცოდვის სურაა, ხალხის წინააღმდეგ ღიბითა და ცრემლებით გაქვინთილი და აღსაგსე. მან მრავალი ახალგაზრდა და მოხუცი იმსხვერპლა შენი მზაკვრული ოინის წყალობით; გეყო ხალხის ამდენი ჩაგვრა... ჰა, წაიღე შენი სურა! — ასკერმა ძლიერად მოქნეული სურა შიგ შუბლში ხეთქა მეფეს. მეფე გადაიქცა და განუტევა ბოროტი სული.

ხალხს სიხარულის ყიყინა აღმოხდა, ასკერი ხელში აიტაცეს და ქება-დიდებათ გაატარეს ქუჩებსა და მოედნებზე, ულოცავდნენ გამარჯვებას და მეფის ტახტის დაკავებას სთხოვდნენ.

დასთანხმდა ასკერი ხალხის ნება-სურვილს, იმ ქვეყანაში მეფედ დაჯდა, მოხუცი მამა გვერდით მოისვა ვეზირად და ყოველი საქვეყნო საქმის დაწყების წინ რჩევა-დარიგებას სთხოვდა მას.

ამის შემდეგ იმ ქვეყანაში არავის შეეძლო მოხუცებულების შევიწროება და შეურაცხყოფა, ყველა პატივს სცემდა მათ ჭადარას, სიბრძნესა და გამოცდილებას; მოხუცებულებიც თავის მხრით პატივს სცემდნენ ახალგაზრდებს, მათს ცხოვრების სიყვარულს, ჯან-ღონეს, ქვეყნისთვის თავდადებასა და ერთგულებას.

დამუშავებული ილია სინარულიძის მიერ





# საზაფხულო ლაშქრობისათვის


იცით თუ არა თქვენი მხარის წარსული? იცით თუ არა, რა პროდუქცია მზადდება მახლობელ საწარმოებში, რა ახალი მშენებლობიანი შეიქმნა თქვენს რაიონში ომის შემდგომ ხუთწლეულში? რა სასარგებლო მცენარეები იზრდება მეზობელ ტყეში? თუ გინდათ გაიგოთ ყველაფერი ეს, იმოგზაურეთ მძობლიურ მხარეში. მაგრამ წაყოფიერად რომ იმოგზაუროთ, ამისათვის საჭიროა გულდასმით მოემზადოთ. ეცადეთ პირველ ყოვლისა გაიგოთ, თუ რა არის თქვენს რაიონში საინტერესო. მოელაპარაკეთ ამის შესახებ მასწავლებელს. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაეცახით მხარის ბუნებასა და მეურნეობას. იქ მივითითებენ, რა წიგნები წაიკითხოთ, დაგეხმარებიან მარშრუტის შერჩევაში.

ლაშქრობების დროს აუცილებელია რუკა. მისი საშუალებით თქვენ დაწვრილებით შეიმუშავებთ მარშრუტს, ზუსტად გამოიანგარიშებთ მანძილს იმ სოფლებს შორის, რომლებზედაც გავლა მოგიხდებათ, შეარჩევთ შესვენების ადგილებს. იმ შემთხვევაში, თუ რუკას ვერ იშოვით, თვითონ უნდა შეადგინოთ იგი მოგზაურობის დროს. ამისათვის უნდა მოამზადოთ პლანშეტი მასზე დამაგრებული კომპასით.

ლაშქრობამდე რამდენიმე ხნით ადრე აღ-

ნიშნული მარშრუტით უნდა გააგზავნოთ დაზვერვა. უმჯობესია, თუ მასში შევლენ პიონერელმძღვანელი და უფროსი ასაკის ორისამი პიონერი. ისინი გაცნობებენ იმ ადგილების შესახებ, სადაც თქვენ უნდა გაიაროთ, გაცნობენ, თუ რას უნდა მიაქციოთ გზაში განსაკუთრებული ყურადღება. ამით თქვენთვის ნათელი გახდება, რა უნდა მოამზადოთ ლაშქრობისათვის. თუ დაზვერვა გაცნობებთ, რომ გზაზე შეგხვდებათ რაიმე უძველესი ნაგებობანი, სთხოვეთ ისტორიის მასწავლებელს გაიმზოთ ხუროთმოძღვრებისა და არქიტექტურული სტილის შესახებ. ამის შემდეგ თქვენთვის მეტად საინტერესო იქნება არქიტექტურული დეტალების ჩახატვა, გადაღება, რომლის მიხედვითაც თქვენ შესძლებთ იმის განსაზღვრას, თუ რომელ საუკუნეში იყო აშენებული ესა თუ ის ნაგებობა და სხვ.


გახსოვდეთ, რომ ლაშქრობის დროს ყოველი ზედმეტი გრამიც კი მძიმეა. ამიტომ მოამზადეთ რაც შეიძლება მსუბუქი აღჭურვილობა. ლაშქრობის დროს აუცილებელია იქონიოთ პატარა აფთიაქი, მაგრამ საჭირო არაა ბევრი წამლის წაღება. საკმარისია წაიღოთ იოდი, ბამბა, სახვევი, სოდა დამწვრობის საწინააღმდეგოდ, ვაზელინი და სალოლი.



დიდ სამსახურს გაგიწევთ ფოტოაპარატი, მაგრამ სურათების გადაღებაში წინდაწინ უნდა ივარჯიშოთ. მცენარეების შესაგროვებლად საჭიროა ჰერბარიუმის საქალაღე. რასაკვირველია, არ უნდა დაივიწყოთ ასანთი, დასაკეცი დანა, ქვაბი, პირსახოცი, საპოხი, ჯაგრისი, ძაფი, ნემსი. ზუსტად უნდა გამოიანგარიშოთ, რა რაოდენობის სურსათი დაგჭირდებათ. როგორც ხედავთ, საკმაოდ ბევრი ბარგი გროვდება. ამიტომ საჭიროა შეიძინოთ ზურგჩანთა და მთელი ეს ბარგი შიგ წესიერად ჩაალაგოთ, რომ სიარულის დროს არ შეწუხდეთ. ზურგისკენ ჩააწყეთ რბილი, ქვევით მძიმე, ხოლო ზევით მსუბუქი და ადვილმტვრევადი ნივთები. თასმები ისე მოირგეთ, რომ ტვირთი ორივე მხარს თანაბრად აწეებოდეს.




ყოველ შოგზაურს უნდა შეეძლოს ცეცხლის დანთება ყოველგვარ ათხილში, ყოველგვარი შეძით, მაგრამ ცეცხლის დანთებისას ყოველთვის უნდა განსოვდეთ, რომ ერთ ნაპერწკალსაც კი დიდი ზიანის შოტახა შეუშლია. ცეცხლს ნუ დაანთებთ ხეების ახლოს ან ისეთ ადგილებში, სადაც ბევრი ხმელი ფოთოლი და ფიჩხია. შესვებებისთვის აარჩიეთ წყლის მახლობლად მდებარე მიხლორი. ცეცხლის დასანთები ადგილი წინასწარ გაშინდეთ, წასვლის წინ კი ცეცხლს წყალი გადაასხით ან მიწით დატყეხეთ. ღამის გათევა შოგიდებთ ტყეში ან მიხლორში. თუ კარგი ამინდია, ცის ქვეშ დაიძინეთ. ღამის სათეად აირჩიეთ მშრალი, ქარისაგან დაცული ადგილი. თუ სიცივეა, მოეწყეთ ცეცხლის ირგვლივ, წვიმის დროს კი საფარის ქვეშ, რომელიც შეიძლება გაიჭიმოს ხეებს შორის. ასეთი საფარი შეიშლება გაკეთდეს ტილოს ნაჭრისაგან, წამოსასხამისაგან.




ლაშქრობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მის ორგანიზებულობაზე. საჭირო არაა დიდი ჯგუფების შექმნა. ყოველ ჯგუფში უნდა იყოს თხუთმეტი კაცი. თუ გსურთ ლაშქრობაში ძთელმა რაზმმა მიიღოს მოხაწილეობა, იმ შემთხვევაში გაიყავით ორ ჯგუფად და გაემგზავრეთ სხვადასხვა მარშრუტით. სადმე გზაში მოაწყვეთ შეკრება. რამდენ საინტერესო რამეს უამბობთ ერთმანეთს საერთო კოცონის ირგვლივ შეკრებილნი!



ყოველი ლაშქრობა იმითაც არის საინტერესო, რომ მტკიცდება მეგობრობა და კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. კარგად შერჩეულ ჯგუფში არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი ურთიერთშორის არაამხანაგურ დამოკიდებულებას, არ შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთი აკეთებს ყველას საქმეს და დანარჩენები გულხელდაკრეფილნი შეჰყურებენ მას. ლაშქრობის ყოველი მონაწილე უნდა შეეცადოს იყოს მთელი კოლექტივისათვის სასარგებლო, ყოველგვარი თხოვნისა და შეხსენების გარეშე შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. ჯგუფის ხელმძღვანელის ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ სწორად გაანაწილოს ბავშვებს შორის დავალებები. მაშინ ყველაზე ძნელი ლაშქრობაც კარგად ჩაივლის და ასეთი მოგზაურობიდან მხიარულნი და გაკაყებულნი დაბრუნდებით.





# მანქანები თბილისის მშენებლობაზე

სოციალისტური მშენებლობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ხაზს წარმოადგენს მექანიზაცია, ხელით შრომის შეცვლა მანქანებით.

მაღალი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვამ, მშენებლობის მექანიზაციის სისტემატურმა, პროგრესულმა განვითარებამ საშუალება მოგვცა ვაშენოთ ყველაზე სწრაფად და ყველაზე უკეთესად.

მშენებლობის პროცესის მექანიზება ნიშნავს შრომის ნაყოფიერების ზრდას და შრომის პირობების შემსუბუქებას ადამიანებისთვის ამ უბანზე.

აი, წარმოიდგინეთ, თუ როგორ შენდებოდა თბილისი წინათ: შენობის ხარაჩოებზე შეკოწიწებული ხის კიბით ზურგით აპქონდათ მშენებელ მუშებს საშენი მასალები ზედა სართულზე. შენობის საძირკვლების თხრას მიწისმთხრელი მუშები წერაქვითა და ნიჩბით აწარმოებდნენ; ნიჩბებითვე ყრიდნენ მიწას საზიდრებზე. აგურებით დატვირთულ საზიდარს ძლივს მოაგორებდნენ ქანცვამოლეული ცხენები ქარხნიდან მშენებლობის უბანზე. მთელი მუშაობა ძალიან დიდხანს გრძელდებოდა, ბევრ მუშახელს მოითხოვდა და მშენებლობა ძვირი ჯდებოდა.

გადახედეთ დღეს ჩვენს დედაქალაქში გაშლილ გრანდიოზულ მშენებლობებს, მეტეხის ხიდს, მტკვრის ახალ სანაპიროს, თბილისის განახლებულ, განიერ ქუჩებს, და ცხადი გახდება, თუ რა სისწრაფით წარმოებს ახლა მუშაობა, რა იაფად და ხარისხიანად. ის დიდი მიღწევები, რომლებიც დღეს მშენებლობის საქმეში გვაქვს, მიღწეულია ახალი საბჭოთა მანქანებითა და მექანიზმებით, მოწინავე საბჭოთა ტექნიკით.

ისეთი შენობების აგება, როგორიც უკვე აგებულია ან ახლა შენდება (რეკონსტრუირებულ მელოქიშვილის ქუჩაზე, რუსთაველის ძეგლის წინ, მტკვრის ახალ სანაპიროზე, ჩელუსკინელთა რეკონსტრუირებულ ქუჩაზე და მრავალი სხვა), უმანქანებოდ ძალიან მძიმე იქნებოდა და ძალიან ძვირი დაჯდებოდა.

ახალ მშენებლობებზე ყოველი სახის მუშაობა თითქმის მექანიზებულია.

მშენებლობაზე მოდიან საძირკვლების სათხრელად საბჭოთა კონსტრუქციის ექსკავატორები—მიწის მთხრელი მანქანები, რომლებიც თავიანთი უზარმაზარი „ეშვებიანი თათებით“ ასეული მუშახელის შრომას ცვლიან, ამოღებულ მიწას კი იქვე მდგომ სატვირთო მანქანებში ცვლიან.

იქ, სადაც ჯერ კიდევ სწორი ზედაპირი იყო, სულ

მალე ჩნდება თხრილები—საძირკვლებით დასერილი ფართობი.


ექსკავატორი (იხ. ნახაზი I) წარმოადგენს მუხლუხებიან ტრაქტორს, რომელზედაც დადგმულა სპეციალური მექანიზმები. ექსკავატორის ძირითადი სამუშაო ნაწილია „ხორთუმი“—ლითონის გამოსწორილი ნაწილი, რომელსაც შეუძლია ტვირთის აწევა და დაწევა. ამ „ხორთუმის“ ბოლოში ფოლადის მავთულეებით დაკიდებულია ფოლადის ყუთი—ჩამჩა, ანუ ციცხვი. სპეციალური სამართავი მოწყობილობით ექსკავატორის მართავი მუშა ფოლადის ციცხვს სწრაფად უშვებს ქვევით და ციცხვი იჭრება ნიადაგში. ამის შემდეგ სპეციალური სამართავი მოწყობილობით იჭიმება ფოლადის მავთულები, რომლებიც მიწით გაცემულ ციცხვს ითრევენ თავისკენ, შემდეგ კი ზევით აწევენ. ამის შემდეგ „ხორთუმი“ მობრუნდება ტრაქტორის გარშემო და დაცლის ციცხვს იქვე მდგომ სატვირთო ავტომანქანაში.

ციცხვები სხვადასხვა ზომისაა, მათში შეიძლება ჩაეტოს ერთდროულად 4 კუბურ მეტრამდე მიწა.

აღნიშნულ ექსკავატორებს მათი კონსტრუქციის მიხედვით შეუძლიათ 8 მეტრამდე სიღრმის თხრილები გაკეთება.

საბჭოთა კონსტრუქციის ექსკავატორები მსოფლოში საუკეთესო ექსკავატორებადაა აღნიშნული. ისინი ათასობით მუშახელს ცვლიან.

როცა ექსკავატორები ამთავრებენ თავიანთ სამუშაოს, მათ ადგილას მოდიან ახალი, გარეგნობით სულ სხვა სახის მანქანები—ბეტონის დამამზადებელი მანქანები მზა თხრილებში ჩასაყრილი ბეტონის დასამზადებლად. თხრილებში ჩაყრილ ბეტონს ეყრდნობა შენობის მაღალი კედლები.



ნახ. I.

ბეტონის დამამზადებელი მანქანების კონსტრუქცია მარტივია, ამ მანქანებში ბეტონისთვის საჭირო მასალების ჩატვირთვიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ვლუბლობთ უკვე მზა ბეტონს.

შენობის კედლების ამოსაყვანად მთელი საშენი მასალის ვერტიკალური და ნაწილობრივ ჰორიზონტალური ტრანსპორტირება აგრეთვე მექანიზებულია.

ამ სახის ტრანსპორტად გამოყენებულია ტვირთამწი მანქანები — მარტივი ირიბულა-ამწი, კოშკური ამწი, ჭაშური (შახტური) ამწი და სხვა.

კოშკური ამწი გამოყენებულია რუსთაველის ძეგლის წინ წარმოებულ მშენებლობაზე და მტკვრის ახალ სანაპიროზე მრავალსართულიანი შენობის აგებაზე.

კოშკური ამწი (იხ. ნახ. II) წარმოადგენს ლიანდაგებზე ბორბლებით შემდგარ ფოლადის ღეროებისაგან დამზადებულ კოშკს. კოშკის ზედა ბოლოზე მოთავსებულია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს გაშვებული ნაწილი. ერთი მათგანის ბოლოში მოთავსებულია ყუთი განსაზღვრული ტვირთით, რომელიც საჭიროა კოშკის წონასწორობისათვის. მეორე შვერილი ერთი ბოლოთი სახსრულადაა შეერთებული კოშკთან, რის გამოც მას შეუძლია ექსკავატორის „ხორთუმის“ მსგავსად ტვირთის აწევა და დაწევა. ამავე დროს ორივე შვერილს შეუძლია ბრუნვა კოშკის ირგვლივ. თვით კოშკს სპეციალური მანქანა-მოწყობილობის დახმარებით შეუძლია ლიანდაგზე მოძრაობა.

კოშკის ქვედა ნაწილში არის ფარდული, სადაც მოთავსებულია კოშკის სამართავი მანქანა-მოწყობილობები. ამავე ფარდულშია მოთავსებული ლითონის კოჭი, რომელთანაც შეერთებულია ფოლადის მავთული. ეს მავთული ატანილია კოშკის გასწვრივ ზევით, გადებულია გორგოლაჭზე, გადატანილია „ხორთუმის“ ბოლოში და იქიდან კი ჩამოშვებულია ქვევით. ამ ჩამოშვებულ ბოლოზე მაკრდება ზევით ასატანი ტვირთი.

ამრიგად, კოშკურ ამწს შეუძლია ტვირთის ატანა ვერტიკალურად ზევით და ამავე დროს ტვირთის ჰორიზონტალური მიმართულებით გადაადგილებაც.


კოშკური ამწები გამოიყენება მაღალი შენობების აგებაზე. მათი სიმაღლე სხვადასხვაგვარია, ეს დამოკიდებულია ასაგები შენობის სიმაღლეზე. „ხორთუმის“ სიგრძე ჩვეულებრივ 30 მეტრს არ აღემატება. მას შეუძლია ერთდროულად 1,5—3 ტონა ტვირთის აწევა.

ჭაშური, ანუ შახტური, ამწი გამოყენებულია აშკამად მელიქიშვილის ქუჩაზე წარმოებულ მორიგ მშენებლობაზე.


შახტური ამწი (იხ. ნახ. III) შედგება ლითონის ორი ვერტიკალური ღეროსაგან, რომელთა შორის მოთავსებულია ვერტიკალურად მცოცავი ურიკა. ურიკა ვერტიკალურ ღეროებზე მიბჯენილია 6 წყვილ გორგოლაჭით, რის გამოც მას საშუალება აქვს იმოძრაოს ღეროებს შორის ზევით ან ქვევით. ღეროების ზედა ნაწილზე მიბმულია ფოლადის მავთული, რომელიც ჩამოშვებულია ქვევით, გადებულია ურიკაზე დამაგრებულ გორგოლაჭზე, შემდეგ ატანილია ზევით, გადებულია ღეროებზე დამაგრებულ გორგოლაჭებზე და ღეროების გასწვრივ ჩამოტანილია ქვევით, სადაც ის დამაგრებულია ლითონის კოჭთან. კოჭს შეუძლია ბრუნვა ელექტრომობტორის დახმარებით, ის იხვევს მავთულს, რის გამოც მავთულის მეორე ბოლოზე მობმული მცოცავი ურიკა ზევით გადაადგილდება. ურიკაზე თავსდება საჭირო ასატანი ტვირთი. მელიქიშვილის ქუჩაზე მომუშავე შახტური ამწი დამზადებულია თბილისელი ინჟინრების მიერ. მას შეუძლია ერთდროულად 250 კგ. ტვირთის ატანა. ტვირთის ატანის სიმაღლე დამოკიდებულია ლითონის ღეროების სიგრძეზე.

თბილისის ახალი მშენებლობანი საოცარი სისწრაფით მიმდინარეობს. რამდენიმე თვის წინათ ვიწრო ქუჩები, თავიანთი დაბალი, ერთსართულიანი ძველი სახლებით, დღეს გაფართოებულ-განახლებულია და არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული ახალი, მრავალსართულიანი შენობებითაა დამშვენებული.

ინჟინერი **მ. ჩიხლაძე**



ნახ. II.



ნახ. III.

# ცნობის მოყვარეთა კუთხე

## მსუნაგი ასანთები

აი შეიკრიბნენ შენი ტოლი ბავშვები თავისუფალ დროს გასართობად. შენ, გადაიცვი რა „ჯადოსნის“ ტანსაცმელი, ბევრ სხვა საკვირველებას შორის შეგიძლია უჩვენო მაყურებლებს შემდეგი:

წყლიან ჯამში ვარსკვლავისებურად აწყობ ასანთის ღეროებს. შემდეგ იღებ წაწვეტებული ფორმის საპონს და მიგაქვს იგი წყლის ზედაპირამდე, ვარსკვლავის ცენტრში. ასანთები უცებ გაიქცევიან განზე.

შენ ხუმრობით ეუბნები მაყურებლებს: „ჩანს, ასანთის ღერებს ზოგ-ზოგი ჩვენი ნაცნობივით (შენ არ გინდა დაასახელო მათი გვარები) ეშინიათ საპნისა!“

მაგრამ შენ შეგიძლია დააბრუნო გაქცეული ასანთის ღეროები. ისინი ტკბილეულობის მოყვარული მსუნაგები არიან. შენ იცი, რით მიიტყუო ისინი: ჯამის ცენტრში ჩააყურყუმეღავებ შაქრის ნატეხს, და იმწამსვე ასანთები ცურვით მივლენ ახლოს და გარშემოერთყმიან შაქარს.

ასანთების ეს მოძრაობა იმით აიხსნება, რომ საპნის და შემდეგ შაქრის ზეგავლენით შეიცვალა წყლის ზედაფენის თვისება.



## როგორ ძლებს აქლემი უწყლოდ

ყველამ იცის, რომ აქლემს შეუძლია უწყლოდ იყოს მრავალი დღის განმავლობაში და ამიტომაც უდაბნოებში ცხენის ნაცვლად აქლემებით მგზავრობენ.



როგორ შეუძლია აქლემს დიდხანს იარსებოს უწყლოდ? ადრე ამას იმით ხსნიდნენ, რომ აქლემი კუჭის განსაკუთრებულ ადგილას ინახავს წყლის მარაგს.

მაგრამ მეცნიერულმა გამოკვლევებმა დაადგინა სულ სხვა მიზეზები. აქლემს კუჭებში აქვს ცხიმის დიდი მარაგი. როცა დგება უჭმელობისა და უსმელობის დრო, იწყება ამ გადანახული ცხიმების ხარჯვა. „იწვის“ რა ორგანიზმში, ეს ცხიმი წარმოქმნის წყალს, ხოლო ამ დროს გამოყოფილი ენერჯია საშუალებას აძლევს ცხოველს იარსებოს უჭმელად.

ცხიმების სრული წვის დროს მუდამ წარმოიქმნება წყალი. ეს შეიძლება გავსინჯოთ უბრალო ცდით: ანთეთ ქონის ან სტეარინის სანთელი და დაახურეთ მას ქილა. წვის დროს წარმოქმნილი წყლის ორთქლი წვრილი წვეთების სახით მოედება ქილის ცივ კედლებს.

## ზღვის ნათება


ცნობილი ბუნებისმეტყველი ა. გუმბოლდტი ასე აღწერს ზღვის ნათებას: „როცა გემი მიარღვევს აქაფებულ წყალს, გემბანზე მდგომს არ ძალუძს თვალი მოაშოროს საოცარ სურათს, რასაც ქმნიან გემზე მოვარდნილი ტალღები. თუ გემის ერთ-ერთი მხარე წყალში გადაიხრება, მაშინ აქეთ-იქით მიმოიფანტებიან მოლურჯო და მოწითალო ნაპერწკლები. აუწერელი სილამაზის სახეობებს წარმოადგენს აგრეთვე ტროპიკულ ზღვებში ბნელი ღამით დედფინების თამაში. ისინი

კვეთენ წყლის ზედაპირს და სტოვებენ ნაკვალევს ნაპერწკლებისა და მნათობი ზოლების სახით.“

ამ მოვლენების მიზეზად ითვლება ზღვის მრავალი ცხოველის თვისება — ანათონ სიბნელეში. ზღვის ნათებაში მონაწილეობენ როგორც მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ცხოველები — ინფუზორიები, ისე უფრო მსხვილებიც: მელუზები, ზღვის ვარსკვლავები, სიბინები. ეს თვისებანი კი გამოწვეულია მათს ორგანიზმში წარმოქმნილი ბიოქიმიური პროცესებით.

## არც მარცხენა, არც მარჯვენა მხარე

ზღვის ფსკერის ამ მჩხვლეტაკიან ცხოველს ზღვის ვარსკვლავა ჰქვია. როგორც ამ სურათზე ხედავთ, მას არა აქვს არც მარცხენა, არც მარჯვენა მხარე, არც კული, არც თავი. ამის მიუხედავად ზღვის ვარსკვლავა ბედავს, მაგალითად, თავს დაესხას მასზე დიდ ცხოველს. ვარსკვლავა გამოაგდებს ხოლმე თავის სხეულიდან სტომაქს, გახვევს მასში მსხვერპლს, მოინელებს მას და მერე კვლავ სხეულში შეაქვს თავისი სტომაქი.





# ჭადრაკი



განყოფილებას ხელმძღვანელობს ოსტატობის კანდიდატი **თინათინ ბიორვაძე**

ჩვენი უურნალო ქადრაკის განყოფილების წინა ნომრებში ქადრაკის დაფის მიღებული ლათინური ასოებით აღნიშვნას ვბეჭდვდით ქართული ანბანის ასოებით, რის გამოც შეცვლილი იყო ქადრაკის ფიგურების ქართული სახელებიც.

ვინაიდან მსოფლიო საქადრაკო ლიტერატურაში მიღებულია ქადრაკის დაფის ლათინური ასოებით აღნიშვნა, ჩვენც ამ ნომრიდან ვიწყებთ ქადრაკის დაფის აღნიშვნას მიღებული წესის თანახმად, ე. ი. ლათინური ასოებით.

9	a8	b8	c8	d8	e8	f8	g8	h8
7	a7	b7	c7	d7	e7	f7	g7	h7
6	a6	b6	c6	d6	e6	f6	g6	h6
5	a5	b5	c5	d5	e5	f5	g5	h5
4	a4	b4	c4	d4	e4	f4	g4	h4
3	a3	b3	c3	d3	e3	f3	g3	h3
2	a2	b2	c2	d2	e2	f2	g2	h2
1	a1	b1	c1	d1	e1	f1	g1	h1
	a	b	c	d	e	f	g	h

მოგეყავს ქადრაკის ფიგურების ქართული და რუსული სახელები და მათი შემოკლებული ჩაწერა: ქართველი ერის კულტურის ისტორიამ შემოგვინახა საქადრაკო ფიგურების ქართული ნაციონალური სახელები, რომელიც მიღებულია ქართულ ბეჭდვით სიტყვაში.

მფ მეფე		Король Кр
ლ ლაზიერი		Ферзь Ф
ე ეტლი		Ладья Л
ძ კუ		Слон С
მ მხედარი		Конь К
პაიკი		пешка

### პარტიის სვლების აღნიშვნა:

— სვლა	±	თეთრების უპირატესობა
: ფიგურის აყვანა	±±	თეთრების მცირე უპირატესობა

± შავების უპირატესობა	0—0 მოკლე როკი
±± შავების მცირე უპირატესობა	0—0—0 გრძელი როკი
! კარგი სვლა	+ ქიში
!! ძალიან კარგი სვლა	++ ორმაგი ქიში
? სუსტი სვლა	× შავათი
?? ძალიან სუსტი სვლა	

### პარტიის ჩაწერის მაგალითი

თეთრები მ. ბოტვინიკი, შავები შპილმანი (ავსტრია) მოსკოვის მე-2 საერთაშორისო ტურნირი (1935 წ.).

#### კარო-კანის დაცვა

1. c2—c4 c7—c6  
პაიკის სვლას წინ არაფერი არ ეწერება.
2. e2—e4 d7—d5
3. e4 : d5 c6 : d5
4. d2—d4 მგ8—f6
5. მბ1—c3 მხ8—c6
6. კc1—ფ5 ლდ8—b6?

ტულია ლაზიერის ადრე გამოყვანა. დებიუტში (დასაწყისში) ყოველთვის საჭიროა მსუბუქი ფიგურების (კუს და მხედრის) სწრაფი განვითარება. ამიტომ სვლობა 6. ... e7—e6

7. c4 : d5! ლხ6 : 62
8. ეა1—c1!...

ამ სვლით თეთრები ძალიან აქტიურ თამაშს ღებულობენ.

8. ... მც6—b4
- ეს სვლა შავებს აკარგვინებს ფიგურას.
9. მც3—a4 ლხ2 : a2
10. კf1—c4 კც8—g4
11. მგ1—f3 კგ4 : f3
12. გ2 : f3 შავები დანებდნენ.

იგივე პარტია შეიძლება შემოკლებითაც ჩაიწეროს, აი როგორ: (ბოტვინიკი — შპილმანი).


1. c4 e6 2. e4 d5 3. e : d c : d 4. d4 მწ 5. მც3 მც6 6. კფ5 ლხ6? 7. c : d! ლ : b2 8. ეა1! მხ4 9. მა4 ლ : a2 10. კc4 კგ4 11. მწ3 კ : გ4 12. გ : f შავები დანებდნენ.

\*\*\*

გამოგვიზავნეთ თქვენი კარგი პარტიები, თქვენს მიერ შედგენილი ამოცანები და ეტიუდები, რომელთაგან საუკეთესო დაიბეჭდება ჩვენს უურნალოში.



გასული წლის ზაფხულში ტადლი-კულგანის ოლქის (ყაზახეთის სსრ) კოლმეურნეობებში გაემგზავრა ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიცია. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ბიოლოგიური მეცნიერების კანდიდატი ი. კ. ივანოვი. მეცნიერმა მუშაკებმა კოლმეურნეობებში თან ჩაიყვანეს პატარა, ერთწლიანი კობრები და გაუშვეს ბრინჯის მინდვრებში. თითოეული თევზი 10-15 გრამს იწონდა. ორი თვის შემდეგ თევზები იმდენად გაიზარდნენ, რომ თითოეული მათგანის წონამ 250-300 გრამს მიაღწია, ზოგიერთის წონამ კი 500 გრამსაც გადააჭარბა. როდესაც ბრინჯის მინდვრებიდან წყალი გადაუშვეს, კოლმეურნეობა 600 კილოგრამზე მეტი გემრიელი თევზები მოაგროვებს.



ბრინჯი აიღეს, ვიდრე სხვა ნაკვეთებზე თევზები იკვებებოდნენ მწერთა მატლებით, რომლებიც ზინადრობენ გრუნტში. მატლების ძებნის დროს თევზები აფხვიერდნენ ნიადაგს, ამღვრევდნენ წყალს და ამით აუშვობესებდნენ მცენარის კვებას. გარდა ამისა, თევზები ანადგურებდნენ ბრინჯის მავნებლებს და აუძლორებდნენ სარევეებს.


ამ ცდით ყაზახეთის მეცნიერებმა დაამტკიცეს — ბრინჯის მინდვრებში, რომლებშიც ორი თვის განმავლობაში წყალი დგას, შეიძლება თევზების მოშენება, თანაც ეს ბრინჯის მოსავლიანობასაც ზრდის.

ჩატარებული ცდის საფუძველზე კარატლის რაიადმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება კობრების საშენის მოწყობის შესახებ. ეს საშენი კარატლის რაიონის ყველა კოლმეურნეობას მოამარაგებს ერთწლიანი კობრებით.

იმ მინდვრებზე, სადაც კობრები იზრდებოდნენ, კოლმეურნეობა თითოეული ჰექტრიდან 7 ცენტნერით მეტი

შ ი ნ ა ა რ ს ი

მშვიდობა ბავშვებს (წერილი) . . . . .	გვ. 1	ფრანგი ბიჭის ისტორია (ლუი გორენის ნამშობი) . . . . .	გვ. 21
ო. თორელი — ყვითელ ზღვაზე (მოთხრობა) . . . . .	3	ოქროს სურა (აღმოსავლური ზღაპარი, დამუშავებული ი. სიხარულიძის მიერ) . . . . .	23
ე. ქურდიანი — სიმღერა პიონერისა (ლექსი) . . . . .	6	საზაფხულო ლაშქრობებისათვის . . . . .	26
ა. ბილანიშვილი — გორკი მეცნიერების დაუფლების შესახებ (წერილი) . . . . .	7	ო. ჩიხლაძე — მანქანები თბილისის მშენებლობებზე (წერილი) . . . . .	28
რ. ელანიძე — თეთრი მთები (მოთხრობა) . . . . .	8	ცნობისმოყვარეთა კუთხე . . . . .	30
ვ. გორგანელი — ილიას ობელისკთან (ლექსი) . . . . .	15	ჭადრაკი . . . . .	31
ი. ალექსიშვილი — მშობლიური სკოლის სასახელოდ (წერილი) . . . . .	16	ჩვენი კალენდარი . . . . . გარეკანის მე-3 გვ.	
ო. შალამბერიძე — კეთილი მებაღე (ლექსი) . . . . .	18	გარეკანის მხატვრობა — „პიონერთა ბანაკებისაკენ“ შესრულებულია მხატვარ ა. ბანძელაძის მიერ.	
ს. ცაიშვილი — ეკატერინე გაბაშვილი (წერილი) . . . . .	19	გარეკანის მეოთხე გვერდზე ფოტოტიუდი „მეგობრები“ — ი. ბეჟაშვილისა.	
ი. გურგულია — შენი ტკბილი „დედა-ენა“ (ლექსი) . . . . .	20		



რედაქტორი ბ. კ ა ბ ა ხ ი ძ ე. საზღვარცივთ კლუბი: მ. აბლაძე, ლ. გვრიტიშვილი, მ. მარდიანი, მ. თაგვიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შინგალია. პასუხისმგებელი მდივანი მ. თორღლაძე. სამსაჯვართ რედაქტორი ბ. ფოცხიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

შე 02865 ტირაჟი 7500 გამომცემლობის შეკვ. № 228 სტამბის შეკვ. № 782

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14 შურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოცეტ-მანქანაზე.



## გმირული წლები

ათი წლის წინათ ჩვენს ქვეყანას ვერაგულად თავს დაესხა შიტლერული გერმანია. სიკვდილის მთესველი ბომბდამშენი თვითფრინავები მოედნენ საბჭოთა მშვიდობიან ცას. დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ფაშისტურ გერმანიასთან. ეს იყო 1941 წლის 22 ივნისს, კვირას. თითქმის მთელი ოთხი წელიწადი გასტანა ამ სამკვდროსასიცოცხლო ომმა, რომლის მსგავსი, თავისი საზინელებით, ისტორიას არ ახსოვს. აღდგა დევგმირი საბჭოთა ხალხი და რკინის კედელივით დადგა თავისი ძღვევამოსილი, ბედნიერი და თავისუფალი სამშობლოს დასაცავად. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ბრძენი სტალინის წინამძღოლობით იწყო საბჭოთა ხალხმა ჩვენს ქვეყანაში შემოსეული ფაშისტური ურჩხულის განადგურება. ამ ომმა ერთხელ კიდევ უჩვენა მთელ მსოფლიოს საბჭოთა კავშირის, მისი ხალხების უძლეველობა, საბჭოთა არმიის უმაგალითო გმირობა.

უდიდესი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ბავშვებმა დიდი სამამულო ომის ჩვენი გამარჯვებით დამთავრებაში. ისტორიის ფურცლებში ოქროს ასოებით სწერია მათი გმირობისა და თავდადების უკვდავი მაგალითები. ვის არ აღაფრთოვანებს ყოფილი პიონერების, კომკავშირის აღზრდილი სახელოვანი ახალგაზრდების ზოია კოსმოდეშინასკაიას, ოლეგ კოშევიკის, ალექსანდრე მატროსოვის,

ალექსანდრე ჩეკალინის, ლიზა ჩაიკინას, იური სმირნოვის, შოთა გამცემლიძის, ალექსანდრე წურწუმეას და ათასობით სხვა ახალგაზრდების უმაგალითო გმირობა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

გმირულად და თავდადებით შრომობდნენ პიონერები და მოსწავლეები აგრეთვე ზურგში. სამამულო ომის წლებში ოც მილიონამდე მოსწავლე მუშაობდა საკლემურნო მინდვრებზე. მათ გამოიმუშავეს 737 მილიონი შრომადღე. ომის წლებში საბჭოთა კავშირის პიონერები ეხმარებოდნენ კომკავშირელებს ლითონის ჯარის შეგროვებაში. 7.769.260

ტონა ჯართი ჩააბარეს სახელმწიფოს კომკავშირელებმა და პიონერებმა. ეს ლითონი საკმარისი იყო ათეულ ათასობით ტანკის ან საშუალო ყალიბის ქვემეხების დასამზადებლად. 240.784 ტონა სამკურნალო ბალახი მოაგროვეს პიონერებმა. ამ ბალახებისაგან დამზადებულმა წამლებმა საბჭოთა არმიის მრავალი დაჭრილი მემარტი განკურნა.

დაუფიქარია საბჭოთა ბავშვების გმირობა და მამაცობა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, პარტიზანულ რაზმებში, ზურგში. მათი მაგალითი მუდამ უნდა აღგაფრთოვანებდეთ თქვენ უკეთესი სწავლისათვის, ნაყოფიერი შრომისათვის.


მათი მაგალითი დღეს პატრიოტიზმის სულისკვეთებით ზრდის მილიონობით საბჭოთა ბავშვებს.

## შავიზღვისპირაეთის მართ-მართი მშვიდობა

ვის არ ხიბლავს საბჭოთა აქარა — საქართველოსა და მთელი საბჭოთა შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უღამაზესი და უმდიდრესი კუთხე. იგი ცნობილია თავისი ჩაითა და ციტრუსებით, მარადმწვანე მცენარეებით, კურორტებით. ავტონომიურ საბჭოთა აქარას 16 ივნისს შეუსრულდა სახელოვანი ოცდაათი წელი. 1921 წლის 16 ივნისს შეიქმნა აქარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

საბჭოთა აქარამ ოცდაათი წლის მანძილზე უდიდეს წარმატებებს მიაღწია. იგი დღეს აყვავებულ, უმდიდრეს კუთხეს წარმოადგენს. შეძლებულად, კულტურულად ცხოვრობენ აქარლები, მშვენივრად და სულ უფროდაუფრო კეთილმოწყობილი ხდება აქარის სოფლები, ქალაქები, კერძოდ მისი დედაქალაქი — უღამაზესი ბათუმი, რომლის სახელოვანი რევოლუციური წარსული დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან. დიდი სტალინი ბათუმში ცხრაასიან წლებში რაზმავდა პროლეტარიატს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აქარაში დღეს მრავალი მილიონერი კლემურნეობა. რამდენიმე ათეული სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს აქარას, მათ შორის ბევრია პიონერულ ორგანიზაციაში აღზრდილი. მთელს რესპუბლიკაში ცნობილია ბობოყვათელი მოსწავლე გოგონას სურვიე ჩელეხაძის სახელი. იგი მეურთომეტე კლასს წარმატებით ამთავრებს, ამავე დროს მან ჩაის პლანტაციაში სახელოვანი შრომით სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მოიპოვა. ყვავის და იფურჩქნება საბჭოთა აქარა.



3060 2 806.

3-14/155

Учредитель  
С. С. А. П. О. С. С. С.

